

დონალდ ტრამპი: დიდი პატივია პუტინთან შეხვედრა... ვფიქრობ, ის საუკეთესო ადამიანია და საუკეთესო შეხვედრაც გვექონდა... მეც და დელეგაციის წევრებიც მადლობას ვუხდით ვლადიმირს!



დიდი შეთქმულება ტრამპის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე აქსიებითან პირდაპირ კავშირშია

- სენსაციური დასკვნა: სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც საქართველოში უნდა მომხდარიყო, დონალდ ტრამპის წინააღმდეგ დაგეგმილი დიდი შეთქმულების ნაწილია.
 - ტრამპმა, ჯერჯერობით, ვერ ჩამოაღწია საქართველომდე, მაგრამ საქართველო თვითონ უნდა მივიდეს მასთან და უნდა აუხსნას, სინამდვილეში რა ხდება ჩვენს ქვეყანაში.
- სხვა საშველი, სხვა გზა ხსნისა, უბრალოდ, არ არსებობს!**



სანამ საუბარს დაიწყო, მანამდე შეეთანხმეთ, რომ ისევე, როგორც არსებობს ორი რუსეთი, ასევე არსებობს ორი ამერიკა. დღევანდელ სიტუაციაში ერთი ამერიკა არის ტრამპის ამერიკა, მეორე კი ტრამპს და მის იდეებს დაპირისპირებული ამერიკა – მაკკეინის, სოროსის, ჰილარის კლინტონის, ბაიდენის ამერიკა, ანუ აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ამერიკა, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დაპირისპირებული დონალდ ტრამპთან და მის იდეოლოგიასთან.

„ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც თავის დროზე ხელი-სუფლებებში სწორედ დემოკრატიული პარტიის უშუალო მხარდაჭერით და ამ პარტიის მთავარი ფინანსისტის სოროსის დაფინანსებით მოვიდა, დღემდე ინარჩუნებს მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებს დემოკრატიული პარტიასთან და მის ლიდერებთან.

ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობა“ თავის განყოფილებებთან ერთად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ერთგვარი რეგიონალური ფილიალია საქართველოში.

ასე იყო ეს მაშინაც, როცა ვარდების რევოლუციად მონაწილეული ფერადი გადატრიალების შედეგად სააკაშვილი სახელისუფლო ვერტიკალის სათავეში მოექცა, ასე იყო ეს იმ დროსაც, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველაფერი გააკეთა, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის მაკკეინის მხარდასაჭერად.

თქვენ გახსოვთ მაკკეინის ჩამოსვლა საქართველოში, გახსოვთ, როგორი გრანდიოზული

დახვედრა მოუწვევს მას ნაციონალურმა, გახსოვთ, ავტომანქანები სანომრე ნიშნით „მაკკეინი“, გახსოვთ სამთავრობო დონეზე გამართული პომპეზური ღონისძიებები მაკკეინის საპატივცემულოდ და ა. შ.

როგორც ამბობენ, ჯონ მაკკეინი იყო ის პიროვნება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის პროვოცირებაში. სწორედ ის აგულიანებდა და ის აქეზებდა ქართულ მხარეს და ავანტურისმისკენ მიდრეკილ მის

ლიდერს მიხეილ სააკაშვილს, ჩამოულიყო ამ ომში.

გათვლა ზუსტი იყო – რუსეთის წარმოჩენა, როგორც აგრესორის, როგორც მსოფლიო უსაფრთხოებისთვის საშიში ძალის, რომლის გასანეიტრალებლად ყველაზე პრაგმატული და სწორი იქნებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მაკკეინი გამხდარიყო – მაკკეინი – რუსთომოძულე, მაკკეინი – რუსეთის დაუძინებელი მტერი, რომლის მიმართ მაკკეინის პირადი ანგარიშები ჰქონდა – შურისძიება ვიეტნამის ჯურღმულე-

ში ოთხწლიანი ტყვეობისთვის.

მაკკეინის გაპრეზიდენტების გეგმა ჩაიშალა. თუმცა ამ გეგმის განხორციელების მცდელობას შეეწირა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, ქართველი ჯარისკაცების და მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლე, განადგურებული და დანგრეული სამხედრო ინფრასტრუქტურა და სამხედრო ტექნიკა, რუსების მიერ ნადავლად წაღებული დიდძალი იარაღი.

რასაც აქ ვეყვებით, შეიძლება ვინმეს დაუჯერებელ, ფანტასმა-

გორიულ ამბად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – 2008 წლის აგვისტოში ქართველი ჯარისკაცები, რომლებსაც ეგონათ, რომ საქართველოს დასაცავად იზოცებოდნენ, სინამდვილეში მაკკეინის გაპრეზიდენტების მცდელობა და იმ წარმოუდგენლად მზაკვრულ ავანტიურას ეწირებოდნენ, რომელსაც ქვეყნის მოლაღატე სააკაშვილი უყოყმანოდ დათანხმდა და საქართველო საზრბაზუნე ხორცად გაიმეტა.

მაკკეინის გაპრეზიდენტების გეგმა ჩაიშალა, მაგრამ სულ რაღაც ოთხ წელიწადში მას პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი ჰილარი კლინტონი ჩაენაცვლა.

ახლა კლინტონზე გადაიჭრეს ვენები ნაცებმა და ე.წ. დასავლური ორიენტაციის სხვა პარტიებმა – ერთად იკრიბებოდნენ, გამამახნვეველ წერილებს უგზავნიდნენ ქალბატონ ჰილარის, ღამეებს უთევდნენ, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა – ბევრისთვის მოულოდნელად არჩევნებში დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა, რომელმაც ნეოლიბერალურ ღირებულებებს და გლობალიზმს, როგორც იდეოლოგიას, ღიად გამოუცხადა ომი.

ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მას ამერიკულ ზვიად გამსახურდიასაც კი ებაზის, იმდენად ღრმად ეროვნულია ის პლატფორმა, რომელიც ტრამპმა თავისი პოლიტიკური გეგმების საფუძვლად და საფუძვლად გამოაცხადა.

ტრამპი სოროსს თავის ნომერ პირველ მტრად მიიჩნევს, ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა მას ჯონ მაკკეინთან, რომელმაც ანდერძად დაიბარა, რომ მის დასაფლავებაზე

გუმინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველოს მიმართ სანქციებს ხელი არ მოაწერა.
„ქართველი ხალხის მიმართ პატივისცემის გამო ამას არ გავაკეთებ“, - განაცხადა პუტინმა.



დიდი შეთქმულება ტრამპის წინააღმდეგ...

133.

ტრამპი არ მიეშვათ. თუმცა ტრამპი არც აპირებდა იქ მისვლას, რადგან თვლიდა, რომ მაკკეინი ამერიკის ეროვნული ტემპი კი არა, დამამცირებელი გეგვობაში ნამყოფი სუბიექტი იყო.

სამაგიეროდ, საქართველოში მაკკეინის გარდაცვალება ლამის

რამდენად გულდასმით ახორციელებდნენ ეს ქვეყნები აშშ-ის იდეოლოგიურ შეკვეთას ლგბტ თემის მხარდაჭერისა და პროპაგანდის თვალსაზრისით.

დღეს დონალდ ტრამპი ამერიკის პრეზიდენტი, ყველას გვახსოვს მისი განცხადება, ამერიკა ამერიკიდან აღარ მოახვევს თავს თავის იდეოლოგიას მესამე ქვეყნებსო.

ნელ-ნელა დაიკარგება საქართველო.

ტრამპის ადმინისტრაციას, რატომღაც, არ შეუშუშავებია ახალი ტიპის ალგორითმი, როგორ განახორციელოს თავისი ინტერესები ბაიდენის დემოკრატიული ქსელის გარეშე.

როგორც ზემოთაც ვთქვე, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის უკან დგას ჯორჯ სოროსი თავისი ფინანსებით, რაც მოიცავს მთელ ქართულ მედიას (რომელსაც აფინანსებს სწორედ აშშ-ის დემოკრატიის განვითარების ცენტრი), განათლების სისტემას, არასამთავრობოებს, ამ არასამთავრობოებებიდან მთავრობაში ჩანერგილ კადრებს, თვით აშშ-ის საელჩოს საქართველოში და ა. შ.

უფრო ნათლად გეტყვი: ტრამპი დაუპირისპირდა გლობალიზმს, მაგრამ აშშ კვლავ რჩება გლობალიზტების შტაბ-ბინად. ისინი დღემდე პირდაპირ უპირისპირდებიან ტრამპს სხვადასხვა მიმართულებით.

ისმის კითხვა: აშშ-დან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ისეთ პატარა, ჯერ კიდევ სუსტ, ნახევრად ოკუპირებულ სახელმწიფოს, როგორც საქართველოა, რა სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია აშშ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ დაპირისპირებაში? ზედმეტად გაზვიადებული და გაბუქებული ხომ არ არის საქართველოს როლი ამ შესხველმწიფოს, აშშ-ის, საგარეო თუ სამხინაო პოლიტიკაში?

თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ სწორედ საქართველოა ის ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან, აშშ-ის მთავარ კონკურენტ სახელმწიფოსთან, თითქმის 26 წელია, იმ აქვს, საქართველოს ფაქტორი უაღრესად ხელსაყრელი და ეფექტური რუსული პოლიტიკის დისკრედიტაციისთვის, საერთაშორისო დონეზე რუსეთის, როგორც არადემოკრატიული, ავტორიტარულ, აგრესორი სახელმწიფოს წარმოჩენისთვის.

ამ მიზნის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობაა, არ დატოვდეს და მუდმივი კონფრონტაციის რეჟიმში იყოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რისთვისაც საჭიროა, არ მოგვარდეს და დღის წესრიგიდან არ მოიხსნას ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტები, როგორც მასაზრდოებელი წყარო რუსეთთან საქართველოს მუდმივი დაპირისპირებისა.

კარგად ინფორმირებული ადამიანების ინფორმაციით, 2003 წლის ვარდების რევოლუციის ნამდვილი მიზეზი და საბაბი არა გაყალბებული არჩევნები (როგორც ამბობდნენ, „ნაცმოძრაობამ“, აგრეთვე ზურაბ ჟვანის ჯგუფმა თვითონ არივ-დარიუს საარჩევნო სიები და თვითონვე გააყალბეს შედეგები, მერე კი თვითონვე „აღმოაჩინეს“

ჩვენების გაყალბება დასახელდა.

მკითხველთა ნაწილს, ალბათ, ახსოვს პარლამენტის შენობის წინ მომხდარი დრამატული სცენა, როცა ნაცემი და დასისხლიანებული დეპუტატი ჯემალ გოგიტიძე შევარდნაძეს ეუბნება: ხომ გაფრთხილებდით, ხომ გეუბნებოდით, ბატონო ედუარდ, ესენი აფხაზეთის დაბრუნებას არ დაუშვებენ-მეთქი.

აფხაზეთის ხსენება არჩევნების გაყალბების თემასთან, რის გამოც მოხდა ვარდების რევოლუცია, საერთოდ რა შუაში იყო, თუმცა, როგორც ჩანს, გოგიტიძემ იცოდა ამ რევოლუციის, უფრო ზუსტად, სახელმწიფო გადარტყალის ნამდვილი მიზეზები, რის გამოც შევარდნაძეს პოლიტიკური განაჩენი გამოუტანეს.

გოგიტიძე, როგორც ჩანს, ზუსტად ამ ცოდნას შეეწირა – ახალ-გაზრდა – ჯან-ღონით საცხე ადა-



საყოველთაო-სახალხო ტრაგედიად გამოაცხადეს მისმა მთავარმა ჭირისუფლებმა – „ნაცმოძრაობამ“, სახელსახელმწიფოებრივმა სხვა ნაცემმა, ე.წ. დასავლური ორიენტაციის სხვა წერილ-წერილმა პარტიებმა, რითაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოხატეს უპატივცემულობა ტრამპისადმი.

რაც არ უნდა პარადოქსულად უდგოდეს ეს სიტყვები, ტრამპს საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამოუდწვია, სამაგიეროდ, ძველებური შემართებით აგრძელებენ მუშაობას ტრამპთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ძალების მიერ წლების წინათ დაფუძნებული და მათ მიერვე დაფინანსებული სტრუქტურები, რომლებიც თავიანთ ქართველ სატელიტებთან ერთად ფარულ ომს აწარმოებენ ტრამპისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო და, ფაქტობრივად, ამომწურავი მოსაზრებები გამოთქვა ბატონმა სოსო მანჯავიძემ „საერთო გაზეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

„ივნისის თვის თითქმის ყოველი დღის განმსაზღვრელი იყო ერთი საკითხი – ე.წ. ლგბტ კვირეულის თემა. მოგეხსენებათ, რომ აშშ-ის დემოკრატიული პარტიის უკიდურესად რადიკალური ფლანგის – სოროსის მთავარი იდეოლოგიური მარკერი, დოგმა, რატომღაც არის ეს საკითხი. ობამას პრეზიდენტობისას, როცა პილარი კლინტონი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი გახლდათ, ამ სახელმწიფოს მხარდაჭერა სხვა ქვეყნებისადმი გამოიხატებოდა სწორედ იმაში, თუ

არადა, საქართველოში სწორედ აშშ-ის საელჩო იყო, ვინც პირდაპირ ზეწოლას ახორციელებდა ჩვეულებრივად ლგბტ კვირეული კავკასიის ცენტრში.

იმედი გვქონდა, ტრამპის მოსვლით შეწყდებოდა ამ უკუღმართობების დაფინანსება, მაგრამ ასე არ მოხდა, არ შეწყდა სოროსის ძირგამომთხრელი საქმიანობა, პირიქით, მოვიდა ფული, ხოლო ფულზე ისეთი ყნოსვა აქვთ ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს, ზვიგენსაც კი შემურდება.

ამავე დროს, ამ ამბებთან დაკავშირებით, თბილისში ჩამოვიდა ბაიდენის ცენტრის ხელმძღვანელი მაიკლ კარპენტერი.

ჯო ბაიდენი, მოგეხსენებათ, ტრამპის შესაძლო მოწინააღმდეგეა მომავალ არჩევნებში.

მაიკლ კარპენტერმა პირდაპირ თქვა: რუსეთიდან ჩამოსული ტურისტები არიან ФСБ-ს თანაშემრომლები და არის საფრთხე, რომ



მათ მიერვე ჩადენილი მაქინაციები, რომ ამით შეექმნათ მოტივი სახალხო პროტესტისა და მღელვარებისთვის) არამედ ის ფაქტი გახლდათ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მიღწეული იყო შეთანხმება აფხაზეთის საკითხის დასარეგულირებლად, რომლის ოფიციალური გაფორმება არჩევნების დამთავრების შემდეგ უნდა მომხდარიყო.

ვარდების რევოლუცია სწორედ ამ გეგმის ჩასაფურსად და აღსაკვეთათ მოხდა, თუმცა მიზეზად არ-

მიანი ვარდების რევოლუციიდან ორიოდე წელიწადში მოსკოვში, ერთ-ერთ რუსტორანში საქმიან შეხვედრაზე სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა.

ხელისუფლებამო მოსვლიდან მოკლე ხანში „ნაცმოძრაობამ“ არა მარტო აფხაზეთის, არამედ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებითაც იმუშავა და პირველი „მამულიშვილური“ და „პატრიოტული“ საქმე, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ერგნეთის ბაზრობა დახურა – კონტრაბანდის ბუდეა აქო. მერე თვითონ ეზიდებოდნენ ნაციონალები ამ კონტრაბანდის ტრაილერებით და ამ საქმიდან ბევრი მილიონებიც იშოვეს, თუმცა ერგნეთის ბაზრობის წყალობით ხელახლა დამბობილებული და დამოყვრებული ქართველების და ოსების ურთიერთობაში კვლავ ბზარი გაჩნდა, რაც დროთა განმავლობაში ისევ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

სულ მალე ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც დღეს დიდ პატრიოტობაზე დებს თავს და რომელსაც სინამდვილეში უამრავი ზიანი აქვს მიყენებული ამ ქვეყნისთვის, წვერმაღალას დასაყვრებად გალიაშქრა, რაც იმით დამთავრდა, რომ

„საერთო გაზეთი“
 გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
 მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
 ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
 E-mail: saertogazeti@yahoo.com
 რეგისტ. №202375349; შპს (სბც) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხალხმკვანალორს თაჰისუფალი ჰრანის ჰრინციჰით. შესაძლოა, ავტორის ჰოზონია არ ეთაფხეზოდან რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეა ვასუხისმგებელი ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია გასალის გამოქვეყნებიდან ერთი აჰირის ვალაში. შემოსული გასალაჰი ავტორებს არ უზრუნდება.
 ინფორმაცია შპს „საგამომცემლო ცენტრი“ მის: თბილისი, აგლასის 39



რუსებმა ტყვედ აიყვანეს ქართველი ჯარისკაცები მუხლებზე დაჩოქილი ახობილებს.

ოქრუაშვილი, როგორც რუსები იტყვიან, ეს „სამაუვერენი ბალვანი“, ეს თავდაჯერებული ნარცისი და ყვეფი, წვერმაღალას პროვოკაციას არ დასჯერდა და რუსებს ფეკალიებიც რომ გაუკუზავნოთ, იმასაც საიშოვნებით მიერთებენო, განაცხადა.

ასე იყო თუ ისე, „ნაციონალებმა“ ვიღაცის მიერ მიღებული შეკვეთა წარმატებით შეასრულეს და ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის აღმოფხვრის საშინოება აღმოფხვრეს.

მოგვიანებით ეს ყველფერი 2008 წლის აგვისტოს ომით დაგვირგვინდა, რასაც რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვა, რითაც, ფაქტობრივად, შორეულ მომავალში გადაიწია ამ რეგიონების საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების შანსმა.

საქართველო ამ ომით უკიდურესად დაზარალდა, სამაგიეროდ, ისეირეს იმ რეაქციულმა ძალებმა, რომლებსთვისაც უმთავრესი მიზანი იყო რუსეთისთვის ოკუპანტის იარაღი მიეწებებინათ, საქართველოსთვის კი შეენარჩუნებინათ მთავარი ფუნქცია – სადგისის ფუნქცია რუსული უკანალისთვის.

ცხადია, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია, გერქვას სახელმწიფო და ამ დროს სადგისად გიყენებდნენ, მაგრამ, როცა ეს სათაკილო საქმე უხვად ფინანსდება და თანაც ეს საქმე პატრიოტულ-პეროიკული შერავანდებით არის შეფუთული-შებურული, ყოველთვის განიხილება უნამუსო და სინდისგარეცხილი არამზადები, რომლებიც საკუთარ სამშობლოს ამ მწარე ხვედრისთვის დაუნანებლად გაიმეტებენ.

ოც წელზე მეტია, ქვეყნის ინტერესებით მოვჭრე, ქვეყნის გამყიდველი უნამუსო და სინდისგარეცხილი არამზადების ჯოგი, სახელად ნაცმოძრაობა“, პოლიტიკურ ასპარეზზე დაუსჯელად დათარეშობს და მისთვის ნიღბის ჩამოსხნა, მისი ამპარზენი და შემადრწუნებელი ანატომიის გაშიფვრა დღემდე ვერა და ვერ ხერხდება.

ქართველო ექსპერტები და ანალიტიკოსები, ქართველი პოლიტიკოსები სახელისუფლო გუნდიდან, როცა 20 ივნისს დაწვეული საპროტესტო აქციების შესახებ ლაპარაკობენ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, უფრო ზუსტად, საერთოდ არ აქ-

ცევენ ყურადღებას ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას: რა უძროდა წინ 20 ივნისის ამბებს მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რა უძროდა წინ და, ტრამპის და პუტინის საოცრად გულთბილი შეხვედრა, სადაც ტრამპმა ასეთი გამოგონებელი ფრაზა თქვა პუტინის მისამართით: - დიდი პატივია პუტინთან შეხვედრა... ვფიქრობ, ის საუკეთესო ადამიანი და საუკეთეს-



სო შეხვედრაც გვქონდა... მეც და დღევანდის წევრები მაღლობას ვუხდით ვლადიმირს.

რა უძროდა წინ და, ევროსაბჭოში რუსეთისთვის სანქციების მოხსნა, რაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირდაპირ კავშირშია აშშ-ის პრეზიდენტის მიერ დაიდგინებულ კეთილგანწყობასთან პუტინის მისამართით.

რა უძროდა წინ და, „თბილისისპრაიდის“ ჩატარების ჩაფუშული მცდელობა, რაც იმ ძალებმა, რომლებიც ქართველი ერისთვის კატეგორიულად მიუღებელ ამ დონისძიებას კურირებდნენ, მათი ნებისადმი დაუმორჩილებლობად, მათი ავტორიტეტის შელახვად და უპატივცემულობად მიიღეს.

რა უძროდა წინ და, ბაიდენის ცენტრის ხელმძღვანელის მაიკლ კარპენტერის სასწრაფო ვიზიტი საქართველოში, რომლის დროსაც კარპენტერმა, ფაქტობრივად, დაიდგინა და დაუფარავად მისცა დირექტივა-ინსტრუქცია „ნაცმოძრაობას“, „ევრონაცებს“ და მათ მიტმასნილ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, როგორ და რა მიმართულებით უნდა ემოქმედათ.

მე-20-ე დღეა, ამ ინსტრუქციას ზედმიწევნით ზუსტად და თანმიმდევრულად ახორციელებენ სოროსის, მაკინის თუ ბაიდენის „შვილობილები“ – ბოკერიები, უგულავები, მელიები, ხომბარბიები, სამადაშვილები, ბაქრაძეები, მშვილდაძეები, მაქარაშვილები,

სალუქვაძეები და პოლიტიკაში აბსოლუტურად გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს გულსა და გონებას უმღვრევენ პატრიოტული სენტიმენტებით.

არადა, რა პატრიოტიზმი, რისი პატრიოტიზმი, რა საქართველო, რისი საქართველო, როცა პარლამენტის წინ გამართული ეს დაუსრულებელი დავიდარაბა, მთავარი ლოზუნგით – „რუსეთი ოკუპანტია“, მისამდრით – „გახარია, წადი!“ პირდაპირ კავშირშია ტრამპისა და პუტინის ბოლო შეხვედრასთან, სადაც, შესაძლებელია, აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალოს და სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო, რითაც მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ დონალდ ტრამპმა კიდევ უფრო განიმტკიცოს პოზიციები და ადვილად დაჯაბნოს მთავარი კონკურენტი ბაიდენი.

იმ რუსეთის მოკავშირედ, მეგობრად და პარტნიორად გახდომა, რომელმაც აშშ-ის წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როგორც

არსებობს რეალური საფრთხე, რომ კვლავ განმორდეს 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული სცენარი.

2008 წელს აგვისტოში საქართველო მაკინის გაპრეზიდენტების მცდელობისთვის გაიწვია, ახლა ტრამპის დასამარცხებლად და ბაიდენის გასაპრეზიდენტებლად გაიწვია.

იქ, საქართველოს პარლამენტის წინ მდგარი ადამიანების დიდ ნაწილს ჰგონია, რომ ოკუპაციის და ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ იბრძვიან, სინამდვილეში დონალდ ტრამპის წინააღმდეგ იბრძვიან, თუმცა ამის შესახებ მათ არაფერი იცან.

სამაგიეროდ, ამის შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად მოეხსენებათ აქციის ორგანიზატორებს და იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც კულისებიდან მართავენ პროცესებს და ცდილობენ, ქვეყნის წრფელი სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები საზარბაზნე ხორცას, „მასოკად“ გამოიყენონ.

ისინი ყველანაირი სახის უბინძურეს პროვოკაციაზე წავლენ, ყველაფერს იკადრებენ, რომ რუსეთს



წევად კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ის იქნება, რომ რუსეთს და მის ლიდერს იმდენად გაუტეხონ სახელი, რომ მასთან მეგობრობა და პარტნიორობა ტრამპისთვის პოლიტიკურად წამგებიანი იყოს. როგორ შეიძლება ამის მირწევა?

როგორ შეიძლება და საქართველოს ფაქტორის წინ წამოწევით და რუსეთ-საქართველოს შორის არსებული იმ მწვავე პრობლემის და დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავებით და დუდილის ტემპერატურის იმ შკალამდე აყვანით, რომლის შემდეგ აფეთქება გადაუვალა.

მათთვის იდეალური ვარიანტია, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი დაიწყო.

უკვე გვესმის ხმები იმის შესახებ, რომ რუსეთმა შეიძლება საქართველოს ტერიტორიზე სამხედრო მოქმედებები განახლოს.

ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორთან საქართველოსთან მეომარ პუტინთან ტრამპის მეგობრობა და თანამშრომლობა რომ ვერ გაგრძელდება, ფაქტია, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინისგან დისტანცირებული ტრამპის პოზიციები სერიოზულად დაუსუსტდება, რაც ბაიდენს ან ტრამპის რომელიმე სხვა კონკურენტს გამარჯვების მეტ შანსს აძლევს.

არსებობს რეალური საფრთხე, რომ კვლავ განმორდეს 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული სცენარი.

2008 წელს აგვისტოში საქართველო მაკინის გაპრეზიდენტების მცდელობისთვის გაიწვია, ახლა ტრამპის დასამარცხებლად და ბაიდენის გასაპრეზიდენტებლად გაიწვია.

იქ, საქართველოს პარლამენტის წინ მდგარი ადამიანების დიდ ნაწილს ჰგონია, რომ ოკუპაციის და ოკუპანტი რუსეთის წინააღმდეგ იბრძვიან, სინამდვილეში დონალდ ტრამპის წინააღმდეგ იბრძვიან, თუმცა ამის შესახებ მათ არაფერი იცან.

სამაგიეროდ, ამის შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად მოეხსენებათ აქციის ორგანიზატორებს და იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც კულისებიდან მართავენ პროცესებს და ცდილობენ, ქვეყნის წრფელი სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები საზარბაზნე ხორცას, „მასოკად“ გამოიყენონ.

ისინი ყველანაირი სახის უბინძურეს პროვოკაციაზე წავლენ, ყველაფერს იკადრებენ, რომ რუსეთს

ლიც ქართული სახელმწიფოსთვის შეიძლება ბოლო წამი აღმოჩნდეს.

იყო თუ არა 20 ივნისის მომხდარი ტრაგიკული ამბავი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა? დიახ, იყო, ოღონდ ის არ დაწვებულა უცებ, სპონტანურად, მოუშნადებლად, ემოციების ფონზე.

ამ გადატრიალების გეგმა დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და სხვადასხვა ვარიაციებით მუშავდებოდა.

ბოლოს ის იმ პროვოკაციას მორგეს, რომელიც თვითონვე დადგეს და რომელსაც ასევე კარგა ხნის განმავლობაში აზნადებდნენ.

20 ივნისის დაწვებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ჯერ არ დამთავრებულა, ის გრძელდება, ის განვითარების პროცესშია და მისი შეჩერება მხოლოდ ხელისუფლების მტკიცე, პრინციპულ გადაწყვეტილებებს შეუძლია, გადაწყვეტილებებს, რომლებიც ქართველი ხალხის ნება-სურვილთან სრულ თანხმობაში იქნება.

P. S. ეს წერილი დაკამათავრე და წუხელ, 7 ივლისის საღამოს 9 საათზე გიორგი გაბუნია ვლადიმირ პუტინის მისამართით ისეთი „მონოლოგი“ წარმოთქვა, მსგავსი უხასმობა, მსგავსი სიბინძურე, მსგავსი სიბინძურე არსად, არასოდეს, არავისგან არ მომისმენია.

ეს იყო აბსოლუტურად დეგრადირებული, ზნეობისა და მორალისგან აბსოლუტურად დაცილი არაკაცის „მონოლოგი“, რომელსაც მისევე დაუჭირა მხარი მეორე არაკაცმა, ნიკა გვარამიამ, შემდეგ კი მთელმა „სანაცემმა“.

ამ ფაქტმა კიდევ უფრო განამტკიცა და გაამყარა ის მოსაზრებები, რომ ეს ადამიანები არაფერზე არ დაიხვეწენ უკან, ოღონდ დასახულ მიზანს მიაღწიონ, მათი მიზანი კი ერთია – როგორმე რუსეთ-საქართველოს შორის ომი გაჩარდეს, ხოლო, რა მოუვა ამ ომში საქართველოს, ეს მათ საერთოდ არ ადარდებთ.

გიორგი გაბუნიას „მონოლოგი“, რომელიც, ცხადია, შეთანხმებული იქნებოდა ამ აქციების მთავარ ორგანიზატორებთან, „ნაცებთან“ და სააკაშვილთან, იმ დონის პროვოკაციაა, რომელსაც ადვილად შეიძლება სახელმწიფოებს შორის ომი მოჰყვეს.

ეს პროვოკაცია ნაწილია იმ სახელმწიფო გადატრიალებისა, რომელიც, როგორც ვთქვით, ჯერ არ დამთავრებულა და რომელიც კვლავ გრძელდება.

საქართველოს წინააღმდეგ წამოწვებულ ამ ტოტალურ შეტევას ჩვენ ვერ გავუძლებთ, თუ ხმას ვერ მივაწვდენთ ტრამპს და მის ადმინისტრაციას და თუ არ აუუსნნით, რომ საქართველოს და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ მიტანილი ეს შეტევა სინამდვილეში მის წინააღმდეგ მიმართული შეტევაა, რომელიც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი პოზიციების დასუსტებას ისახავს მიზნად.

ტრამპმა, ჯერჯერობით, ვერ ჩამოაღწია საქართველომდე, მაგრამ საქართველო თვითონ უნდა მივიდეს მასთან!

სხვა სპეველი, სხვა გზა ხსნისა, უბრალოდ, არ არსებობს!

პასხანბ ხარჩილაპა

რუსეთი ოკუპანტია, მამრამ თქვენ ვინ ხართ, თქვე ფარისევლებო?..

რუსეთი ოკუპანტია! ჩვენი ტერიტორია ოკუპირებულია!

მაგრამ ეს ვერ ცვლის იმ რეალობას, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი გამყიდველი და ფარისეველია.

პარლამენტის წინ სპეციალურად დადგმულ ფიცარნაგზე გაურკვეველი ფანრის მუსიკოსებისა და ვითომ მომღერლების გვერდით ქალბატონმა თამარ ჭონელიძემაც იგალობა „ბასიანელებისთვის“ ზენაარ კაიფის მოსაგვრელად, სოფიო ნიჟარაძემაც, ნინო ქათამაძემაც, „სტეფოს“ (სტეფანე მღებრიშვილი) ცოლყოფილმა დარსმელიძემ და სხვებმაც, თვით ყოფილმა პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ცალკე აღნიშვნის ღირსია... და იმას ვამბობდი, ამ მოვალეობე ქალბატონებს 30 წელიწადს კარგა ხანია რომ

ფლოკეებით დატკეპნილ სცენაზეო, იქნებ, თქვას ვინმემ...

თუ ამდენსაც ვერ ფიქრობთ, რას დგახართ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან, რას მოითხოვთ, თავადაც რომ არ იცით?!

როგორც ესერი კერენსკი, ქალები მომხიბლველობის გამო „დუშკა კერენსკის“ რომ ებახნენ, ამბობდა: შეეშეთ მეძავეებს (და კუჩერებს) ისინი ყველა მთავრობას ემსახურებიან — ამ მომღერლებმა და მოტაშფანდურე ხალხმა ყველა მთავრობისგან მიიღეს სიკეთე, ამ გამძლარმა ლოქოებმა, ამ უსამშობლო ნაძირლებმა, მუცლის მონებმა, საკუთარ სადგომს რომ ყოფიან და თან იკრიჭებიან ფიცარნაგიდან ცხონებული ბიძაჩემის — სიმონა ჭიკაძის ყურაცქვეტილი ვირივით...

ვირი ვერ მიხედვოდა, რა მოხდა

არსებებთან, ამფიტამინით გაბრუებულ მასასთან ერთად და რუსეთი ოკუპანტი აღარ იქნება?

რუსეთი ოკუპანტია! რუსეთი და სხვა ნებისმიერი ქვეყანა იქნება და გახდება ოკუპანტი, თუ ბრბო აჰყვება სამადაშვილი-გვარამია-მელია-ვაშაძეებს.

არავის არ სურს მუდმივად მომიტინგე და მუშტების მომღერებელი თუნდაც მეგობარი...

საიმედო არაა და თუნდაც იმიტომ!..

ეს მეგობარი ვერ მშვიდდება და იმიტომ!..

ჭკუა არ აქვს და იმიტომ!..

რა უნდა, ვერავის გააგებინა და იმიტომ!..

და საერთოდ,

არც კი იცის, რა უნდა და იმიტომ!..

რუსეთი ოკუპანტია!

ხოლო აქცია პარლამენტის წინ არაპოლიტიკურად განწყობილი ახალგაზრდების პროტესტია, და იქ პოლიტიკოსები არ წვევებენ არაფერს.

თუ პოლიტიკური არ იყო, სად მიჰყავდა ეგზალტირებული ბრბო მელაას, ხელი რომ ჰქონდა გაშვებული ღინივით პარლამენტის შენობისკენ, რატომ იხევდა „საროქას“ გიგილო უგულავა, თავდაჯერებული და კმაყოფილი სახით რატომ იდგა იქ გიგა ბოკერია...

ვის უმღერეთ თქვენ, „მომღერლებო“, გიგის, გიგას, გრიგოლს და მიშა მშვილდაძეს?

აბა, რუსი თქვენს სიმღერაზე საზღვარს არ გადასწევდა, რადგან



გადაცილებული არიან, ვინმე მშვენივრად მოეხსენებოდეთ, რა მოხდა ჩვენს ქვეყანაში 30-35 წლის წინათ. სამ ათეულზე მეტი წელია, საქართველო თავის წიაღში ეძებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ემბრიონს, რომელსაც კლავენ და ჩეხენ ამ 30 წლის განმავლობაში ერთი და იგივე სუბიექტები და ამ სუბიექტების იდეოლოგიური მამები და შვილები.

რუსეთი ოკუპანტია!

დაიხ!

ვიცით, რომ ოკუპანტია!

ვიცით, რომ ამერიკა მეგობარია!

ის ამერიკა, რომელზეც ამბობენ — რა შორსა ხარ, ღმერთო და რა

ახლოა ამერიკა!

ვიცით, რომ «Умом Россию не понять!»

მაგრამ თქვენ როგორ ვერ ისწავლეთ ჭკუა, ვინც პარლამენტთან იმღერეთ, იცეკვებთ და იღვქსეთ.

თქვენ როგორ ვერ ხვდებით, რომ ოკუპაციის წითელი ხაზი რუსთაველის გამზირზე არ გადის, როგორ ვერ გაიგეთ, რომ აფხაზეთი მოჭრილი ხელია და სამაჩაბლო მოგლეჯილი ხორცი ჩვენი ერთიანი სხეულიდან?!

რუსეთის დუმის დეპუტატის სერგეი გავერილოვის მაგივრად იმ დასაწყევ სკამზე თურქეთის მეჯლისის წევრი რომ დამეჯდარიყო, ატეხავდით რიარაისს? მოკლე მეხსიერების მქონე ფარისევლებო და ოხრებო, გრიგოლ ხანძთელი და მისი ოფლით მორწყული ტაო-კლარჯეთი საქართველო არაა?!

თუ კახ-ხაქათაელი თვალებხატულა ქართველი უკვე აზერბაიჯანელია, ინგილო გოგო-ბიჭები გაყიდულია თქვენი წინაპრებისგან და აღარ განადგვლებთ მათი ბედ-ილაღლი...

ამდენი არ გვიფიქრიაო, ემოციის ფონზე ავედით მიშა მშვილდაძის



20 ივნისს და რა ხდება 30 წელიწადია, ქვეყნის გამყიდველი წინაპრების სისხლში ჩამფურთხებული ნაცებისგან და ნაცებისმაგვარი გამყიდველი და მოღალატე, დაავადებული შტოსაგან, ქართველოს გენი რომ აღარ ურევიათ სისხლში, ისეთი ხალხისგან.

21-ე საუკუნეა და რაზე ლაპარაკობთ, ერთმა მან სვეცკამა მითხრა ამას წინათ.

21-ე კი არა, ორჯერ 21-ე რომ დადგეს, სამშობლო სამშობლო იქნება და დედა — დედა...

დედას არ ჰგავდა მაკა ჩიჩუა იმ სცენაზე იმ დღეს — შურგანთამოგდებული, ხელეგაფარჩხული, უცნაურ ხმაზე მოღრიალე ქალი დედა კი არა ჭინკაა და ჭინკას კიდევ მამული და სამშობლო არ აქვს, არც ოკუპაცია ადევლებს და არც მიწის ყივილი... ჭინკაა, ხალხო, ჭი-ი-ნ-კა!

დაიხ, რუსეთი ოკუპანტია!

და რა ვქნათ?

ვიმღეროთ და ვიროკოთ რუსთაველზე, ეროვნული მოძრაობა რომ აღორძინდა იმ ადგილას LGBTQ — გაურკვეველი სქესის ფიზიოლოგიურ



— რუსი ოკუპანტია! და სიმღერით არ წვევებთ პოლიტიკურ პრობლემებს...

ამ უმიზნო, არადექვატური სიმღერით იმათი გულები კვდება, ვისაც ეს მიწა უყვარს და ზოგიერთი ვაი-ქართველივით შტერი ან გამყიდველი არაა...

რადგან იმათ, იმ გულმოკლე-



ლებს და ომებში ძმა-შვილ-ქმარ-მოკლელებს, ცოტა შორი მეხსიერება აღმოაჩნდათ და ახსოვთ უფრო ადრინდელი უბედურებები, ახსოვთ 2008 წელი და ახსოვთ ნაცების მიერ რუსეთისთვის გადაცემული ქართული სტრატეგიული ობიექტების ნუსხაც —

1. ენგურჰესი-რუსული კომპანია „რაოის“;
2. ფინგალჰესი — რუსული კომპანია „რაოის“;
3. რიონჰესი — რუსული კომპანია „ენერჯი ინვესტი“;
4. გუმათი 1- რუსული კომპანია „ენერჯო პრო“;
5. გუმათი 2 — რუსული კომპანია „ენერჯო პრო“;
6. ლავანურჰესი — რუსული კომპანია „ენერჯო პრო“;
7. შიოტაჰესი — რუსული კომპანია „ენერჯო პრო“;
8. ვარციხე 1 — რუსული კომპანია „ენერჯო პრო“;
9. ვარციხე 2 — რუსული კომპანია „ენერჯო პრო“;
10. ვარციხე 3 — რუსული კომპანია „ენერჯო პრო“;
11. ვარციხე 4 — რუსული კომპანია „ენერჯო პრო“;
12. ხრამი 1 — რუსული კომპანია „რაოის“;
13. ხრამი 2 — რუსული კომპანია „რაოის“;
14. ხრამი 3 — რუსული კომპანია „რაოის“;

19. შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მოპოვებელი ფირმა „ალექსი“ — რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია;

20. გარდაბნის მე-9 ენერჯო ბლოკი — რუსული კომპანია „ინტერ რაო“;

21. გარდაბნის მე-10 ენერჯო ბლოკი — რუსული კომპანია „ინტერ რაო“;

22. მაღალი ძაბვის გადამცემა 500 კილოვატის ხაზები — რუსული კომპანია „ინტერ რაო“;

23. „მადნეული“ — რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;

24. „კვარციტი“ — რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;

25. საბორენ გადამამუშავებელი ფოთიდან და ბათუმიდან „რუსეთის რკინიგზა“;

26. კომპანია „ბილიანი“ — რუსული კომპანია;

27. „აზოტი“ — რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;

28. „გაერთიანებული ქართული ბანკი“ — რუსული კომპანია „ვითიბი“;

29. „ალკოილ ჯორჯია“ — რუსული კომპანია „ალკოილი“;

30. ზესტაფონის „ფერო“ — რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;

31. ელმავალიტომშენებელი ქარხანა — რუსული კომპანია „დემს კომპიუტერი“;

32. არამიანცის, თბილისის №1 საავადმყოფო — რუსული კომპანია „ბატუსი“;

33. თბილისის წყალი — რუსული კომპანია „ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერ“.

ამიტომ არ მივიდნენ მაგ უნიჭო კაკაფონიაზე მართლა პატრიოტები...

ბევრი წერს სოციალურ ქსელში — აღარ გვაქვს ნერვები იმის გამო, რაც ხდება პარლამენტთან.

ეს წერილიც ამ განცდით იწერება, რადგან განცდის, გრძობის და ემოციის გარეშე არც წერილი იქმნება, არც ქვეყანა შენდება, არც ინტერვა, სხვათა შორის და ის პოლიტიკაც, ცივი გონებით განხორციელებული რომ გგონიათ, ისიც განწყობაზე და განცდაზე დაწვრილებით იბადება და ხორციელდება...

რუსეთი ოკუპანტია!

მას ჩვენს ქვეყნის საზღვრები საკუთარი ინტერესების მიხედვით აქვს შემოღობილი, მაგრამ ფაქტი ასევე ის არის, რომ რუსთაველზე მდგომი მომიტინგეების უნამუსობას და დალატს საზღვარი არ აქვს.

ყველაფერთან ერთად, აი, ეს არის კიდევ სამწუხარო ამბავი.

ქართველი ხალხი ითხოვს:

დაიჭირეთ ბიორგი ბაბუნია – ამაზრზენი არამზადა, უსქესო არსება, ქართველი ერის სირცხვილი

საქართველო უმძიმესი ეკონომიკური სანქციების მოლოდინშია. რუსეთის დუმის დსთ-ს საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი რუსეთში ქართული დენისა და მინერალური წყლების იმპორტის აკრძალვას და საქართველოში ფულადი გზავნილების შეჩერებას ითვალისწინებს.



გუშინ უმძიმესი ღამე ჰქონდათ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებსაც. საქართველოს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა, **თამარ ჩუბინაძე**მაც გიორგი ბაბუნიას მონოლოგის თანმდევი მოვლენები შეაფასებინა ალენიშნა, რომ ქართველებს რეალური საფრთხე ემუქრებათ:

„არ ვამბობ იმას, რომ ეს ომს გამოიწვევდა და ა.შ. მაგრამ ამას თავისი შედეგები მოჰყავს და მოჰყავს. პირველ რიგში, მოდის სულ უფრო მეტი ინფორმაცია რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებიდან, რომლებიც რამდენადაც მე ინფორმაცია მაქვს, სერიოზული საფრთხის ქვეშ არიან და სახლიდან ვერ გამოდიან, იმდენად დიდი არის მათ მიმართ აგრესია. ეს არის უდიდესი რაოდენობით ქართველები, რომლებიც ამ წუთში არიან რუსეთში რეალური საფრთხის ქვეშ დგანან ამ განცხადების გამო“ – განაცხადა ჩუბინაძემ.

გადავხედოთ, როგორი შეფასებები მოჰყავს 7 ივლისს „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოლიტიკური ანალიზი“ წამყვანის მიერ რუსეთის პრეზიდენტისა და მისი მშობლების მისამართით გაკეთებულ უცენზურო განცხადებას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

გიორგი ბაბუნიას სკანდალურ მიმართვას ერთ-ერთი პირველი არხის გენერალური დირექტორი, **ნიკა ბაბარაძე**მაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ წამყვანის პათოსს იზიარებს და პუტინის გინების გამო ბოდიშის მოხდას არ აპირებს, თუმცა ამგვარი ფორმით თვითგამოხატვა მიუღებლად მიიჩნია: „არხი გამოთქვამს თავის უკმაყოფილებას ამგვარი ფორმით აზრის მოწოდებაზე და არ იწონებს ამგვარ განცხადებებს. რადიკალური შეფასება არ გულისხმობს გულისამრევ ბილწისტყვაობას და ეს არ არის დასაშვები“ – განაცხადა გვარამიამ.

საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** შურნალისტიკის ნათქვამი დესტაბილიზაციის მცდელობად შეაფასა: „ეს ან ახალი ომის პროვოცირებას ემსახურება, ან რევანშია დაუსრულებელ გადატრიალებაზე? ყოველ შემთხვევაში, ეს არის ქმედება ქვეყნის წინააღმდეგ!“

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ** შურნალისტიკის გამოხდომას უდიდესი საფრთხის შემცველი გზავნილი და პროვოკაცია უწოდა:

„ის, რაც დღეს ქართულმა საზოგადოებამ იხილა „რუსთავი 2“-ის ეთერში, არის კატეგორიულად მიუღებელი. ამ მიმართვას ერთმნიშვნელოვნად ვაფასებ, როგორც პროვოკაციას, როგორც უდიდესი საფრთხის შემცველ გზავნილს, მიმართულს საქართველოს მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ.“



დაახლოებით იგივე სახის განცხადება მოვისმინეთ მოქმედი თავმჯდომარეების მხრიდანაც.

უფრო მკაცრი იყო შეფასებებში თბილისის მერი. **პაატა კალაძე**მაც ფიქრობს, რომ პუტინის გინებამ შეიძლება ორ ქვეყანას შორის საომარი მოქმედება შექმნას და არგუმენტად მას წინა წლებში განვითარებული მოვლენები მოჰყავს:

„ერთხელ უკვე ვნახეთ იგივე პოლიტიკური ძალის მიერ ასეთი მტრობით უმძიმეს მდგომარეობაზე მიყვანილი ქვეყანა. მეორედ ამის დაშვება არ შეიძლება. არც დაუშვებთ!“ – განაცხადა მან.



პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე**მაც ნაცემობობას და მის სატელიტ ტელევიზიას ავანტიურისტების

„შპანად“, მოიხსენიებს და წუხს, რომ მათთვის ადეკვატური პასუხის გაცემა დაავიანდათ:

– „იმაში, რაც დღეს ნაცემობობამ და მისმა ტელევიზიამ გააკეთეს, სინამდვილეში, ახალი არაფერია. ეს იყო უბრალოდ კულმინაცია, კულმინაცია იმ ყველაფრის, რასაც ავანტიურისტების ეს „შპანა“ მთელი ამ წლების განმავლობაში აკეთებდა. ამ ყველაფერს ორი სახელი შეიძლება დაეარქვათ – ა) ქაჯობა, ბ) საკუთარი ქვეყნის მტრობა. სამწუხაროა, რომ ამ ყველაფრისთვის პასუხის გაცემა მთელი ეს წლები რაღაცნაირად გვეთაკილებოდა. თუ უფრო თამამად დაუპირობებდით ქაჯობას და მტრობას, ჩვენი ქვეყანა უფრო სწრაფად წავა წინ – სიმშვიდისკენ, კეთილდღეობისკენ, ევროპისკენ და ნატოსკენ!“ – აცხადებს ირაკლი კობახიძე.

მომხდარზე განცხადება გაავრცელა **საპარტიზოლოგთა საბარძო საკმეოთა სამინისტრო**მაც და საერთაშორისო საზოგადოებასა და პრესის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს შურნალისტიკის საქციელის შეფასებისკენ მოუწოდა. ბაბუნიას მიმართვა გააკრიტიკა შურნალისტიკა ეთიკის ქარტიამაც. საბჭოს განცხადებით, მსგავსი არაეთიკური განცხადებები აღვივებს ხელისუფლების მისწრაფებებს შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

პარტია „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე **ნიკო ბურჯანაძე**მაც გიორგი ბაბუნიას არაკორექტულ განცხადებას უპრეცედენტოს უწოდებს და ხელისუფლებას სასწრაფო გამოძიების დაწვებას თხოვს:

„გიორგი ბაბუნიამ გააკეთა განცხადება, რომლის მსგავსი პრეცედენტი მსოფლიო პოლიტიკის და შურნალისტიკის ისტორიაში არ არსებობს. ეს განცხადება არ არის არც ემოცია და არც მხოლოდ უზრდელობა. კატეგორიულად მოვითხოვ ხელისუფლებისგან სასწრაფო გამოძიების ჩატარებას და სახელმწიფოს ინტერებისგან გამომდინარე ადეკვატური ზომების მიღებას!“ – აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მინილ სააკაშვილი, რომელიც თავადაც გამოირჩევა ოპონენტების მიმართ არაკორექტული, ანტიესემიტური და დისკრიმინაციული გამოთქმებით, გიორგი ბაბუნიას სატელევიზიო გამოსვლას კივილიდან გამოეხმაურა:

„რუსულ იმპერიალიზმთან და ოკუპაციასთან ბრძოლისას ჩვენი მედია ისტერიულ რუსულ მედიას არ უნდა დაემსგავსოს! ჩვენ მხარეზეა სიმართლე და სიმართლის გადმოცემა საჭიროა ცივილიზებული ფორმით! ეპატაჟი და ისტერიულობა ჩვენს საქმეს მხოლოდ დაზარალებს“ – წერს სააკაშვილი.



ექსპერტი **ამირან სალუშვაძე**მაც მიიჩნევს, რომ „რუსთავი 2“-ის შურნალისტიკის განცხადებას რამდენიმე მიზეზი აქვს:

„გიორგი ბაბუნიას ქმედება არის ცრუ პატრიოტიზმზე დაფრთხილი პროვოკაციული, იურიდიული ენაზე კლასიკური ხულიგნური ქმედება, რომელსაც რამდენიმე მიზანი აქვს:

1. ხელისუფლების პროვოცირება. თუ ხულიგნობის გამო, რაც დასჯადია, პასუხს მოსთხოვენ, თუნდაც დაჯარიმებით, პუტინის დაცვას დააბრალებენ;

2. შიდაპოლიტიკური ვითარების მეტად დაძაბვა, რადგან ხალხში უკვე გამოიწვია სერიოზული არაქცია, არა პუტინის დაცვის, არამედ შესაძლო საფრთხეების გამო რუსეთის მხრიდან;

3. რუსეთთან ვითარების ესკალაცია, რასაც მოჰყვება კიდევ უფრო მეტი სანქციები ან უარესი. არ მგონია ამას ვერ ათვითცნობიერებდეთ.

როცა აშშ-ს დაზვერვა რუსეთის საქართველოში შესაძლო შემოჭრის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს, მსგავსი გამოწვევები ქვეყნის რეიტინგული არხიდან შესაძლოა სახელმწიფოსთვის საფრთხედ იქცეს.

თუ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებთ, პასუხი ყველას მოეთხოვება, ხელისუფლებასაც, უმოქმედობისთვის და სხვებსაც პროვოცირებისთვის. ეს ქვეყანა მხოლოდ თქვენი არაა! ხელისუფლების და მათი ოპონენტების ბრძოლა სახიფათო ზღვარს აღწევს“ – აცხადებს სალუშვაძე.

სკანდალური განცხადება გააკრიტიკეს ხელისუფლების ოპონენტებმაც. ევროპული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი **სამხი პაპანაძე**მაც შურნალისტიკის საქციელს მარაზმს უწოდებს, თუმცა არანაკლებ შემაშფოთებლად მიიჩნია ხელისუფლების „არაადეკვატური შეფასებები, რომ დაუშვებელია რეაგირების გარეშე დატოვონ ასეთი გამოხტომები“.

გიორგი ბაბუნიას სკანდალურ მონოლოგს მწვავე შეფასებები მოჰყვა საქართველოს ფარგლებს

გარეთაც. ჩეჩნეთის ლიდერმა **რამზან კადიროვმა** „ტელეგრამის“ საუთარ არხზე კომენტარი გააკეთა, სადაც ქართველ წამყვანს ამაზრზენი და არამზადა უწოდა.

„ის კავკასიის შვილი არ არის, არც კაცი, არც მთიელი. კავკასიაში მამაკაცი მსგავს სიტყვებს არ ამბობს თავისი მოსისხლე მტრის წინააღმდეგაც კი. ბაბუნია მშინა-რა და უსქესო არსებაა. ის – ქართველი ხალხისა და საქართველოს სირცხვილია“ – პოლიტიკოსმა დაწერა. მანამდე ვლადიმერ პუტინის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა ბაბუნიას გამოსვლას „ქართველი ხალხისთვის შეუფერებელი“ უწოდა.

სანამ საქართველოში ბაბუნიას განცხადებებს აფასებენ, რუსეთი საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციების გამკაცრებაზე ფიქრობს.

რუსი სენატორი **ალექსანდი პუშკოვი**მაც მხარს უჭერს სახელმწიფო სათათბიროს წინადადებას თბილისის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღების თაობაზე. „მხარს უჭერს სახელმწიფო სათათბიროს. ზედმეტი მოუვიდათ საქართველოში ანტირუსული გამოხტომებით, „რუსთავი 2“-ის პროვოკაციებით, ჩვენს ტერიტორიაზე თავდასხმები თავისი ღვინო და წყევლები შეუძლიათ უფასოდ გაუფანტონ ნატოელ მოკავშირეებს – არა მგონია მათ გადაუხადონ. ჭკამი ჩაფურთხებას უნდა გადავაჩვიოთ. ბოდიშის მოხდის დრო უკვე გავიდა“, – დაწერა რუსმა სენატორმა თავის „ტვიტერზე“.

მცირედენი ფიქრის შემდეგ, „რუსთავი 2“-მა შურნალისტიკის, რომელმაც მოახერხა და საფრთხე შეუქმნა რუსეთში მცხოვრები მილიონანევარი ქართველის სიცოცხლეს და რამდენიმე მილიარდიანი ზარალი მიიყენა ქართულ ეკონომიკას, გადაცემის წაყვანა 2 თვით შეუძლებელია. შესაბამისი გადაწყვეტილება არხის თვითრეგულირების ორგანომ მიიღო.

ნელი თორდია
571 35 36 88



გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა ჯედიძე

ქალბატონო ნანა, როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს. საბაბი გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის საგარეოში ჩაჯვრება გახდა. რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?

— თამარ, „ნაციონალების“ მხრიდან საპროტესტო აქციების მოწყობა პირველი მცდელობა ნამდვილად არ არის. ისინი, ნებისმიერი საბაბის გამოყენებით, პერმანენტულად, ცდილობენ ამ ტალღის აგორებას. „ნაციონალიზმ“ და მისი განშტოებები იმ კატეგორიის ხალხია, რომელიც ფიქრობს: ქვეყნისთვის რაც უარესი, მათთვის მით უკეთესი. ანუ, რაც ქვეყნისთვის საზიანოა, მათი პარტიისთვის მისაღებია. აი, ამ ლოგიკით მოქმედებენ. ხან ერთი თემა წამოიწიეს, ხან მეორე, ხან მესამე და ა.შ. 2001 წლიდან დაწყებული ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები ნებისმიერი საბაბით სარგებლობდნენ, რათა მდგომარეობა დაემძიმებინათ და გაემწვავებინათ. კერძოდ, ხან გიორგი სანაიას მკვლელობით, ხან მუხრანის ამბოხით და ა.შ. გაგახსენებთ, რომ 2003 წლამდე ზურაბ ჟვანია ლეპტობით დადიოდა და პროფკავშირებიდან დაწყებული სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებით დამთავრებული ყველაგან ერთიდაიგივეს აჩვენებდა: რა მარტივია პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე წელიწადი ეს თემა აღარ გახსენებიათ. ანუ, ხალხმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ რასაც ისინი ლაპარაკობენ, ეს მხოლოდ მანიპულაციისთვის არის გამოიზიარებული და არავითარი გულწრფელობა ან რაიმეს გაკეთების სურვილი ამის უკან არ დგას. ასე, რომ აქ, ქვედინებების ძებნაც კი არ არის საჭირო, ყველაფერი ზედაპირზე დევს. ისინი, აბსოლუტურად, ყველაფერზე წაყვანულნი არიან და ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. მათ რევანში სწეურიათ. არ არსებობს თემა, რაზეც უკან დაიხევენ.

— რევანშის განხორციელების საფრთხე რეალურია?

— იცოდა არა არის თამარ, მოდი, ასე ვთქვათ: მათ ხელისუფლებაში მოსვლას არც 2003 წელს ჰქონდა რაიმე საფუძველი, მაგრამ ეს მოახერხეს. სხვა დანარჩენ ასპექტებზე ყურადღება რომ არ გააკმაზვილო, მათ ბოლო წლების განმავლობაში — 2001 წლიდან დაწყებული 2003 წლის ნოემბრამდე ყველაფერი გააკეთეს, რათა ხელისუფლება წარმოეჩინათ როგორც უნიათო, რომელსაც საკუთარი თავის დაცვაც კი არ შეუძლია. ეს ბოლო მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გახსოვთ, სააკაშვილმა სარაფენო უბანზე პოლიციელს ხელი რომ და-

გაჩერებული დრო

ქართველებისთვის დრო გაჩერდა. ისინი რასაც 30 წლის წინ ლაპარაკობდნენ, დღესაც იგივეს ამბობენ. ნარსულის გამოცდილებიდან მათ ვერაფერი ისწავლეს

არტყა, რომელსაც გული გაუსკდა და ადგილზე გარდაიცვალა. საბოლოოდ, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — გაბეზრებულმა შევარდნამეც არჩია პროცესებს გარიდებოდა და ხელისუფლება „ნაცებს“ დარჩათ. დავუბრუნდეთ გავრილოვის თემას. რა თქმა უნდა, ეს, უბრალოდ, გვემის ნაწილი იყო. ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავრილოვმა სიზმარი ნახა, ბილეთი აიღო, თბილისში დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა და კობახიძის სავარძელში ჩაჯდა?! ასეთი ასამბლეები და ორგანიზაციების შეკრებები რამდენიმე თვით ადრე მზადდება. ყველა საქმის კურსში იყო. თუ გავრილოვი ასეთი მიუღებელი იყო,



რეაგირება თავიდანვე უნდა მომხდარიყო. მანამდე ეყვირათ: არ დაუშვებთ რუსეთის დელეგაციის აქ ჩამოსვლასო. პირიქით, ხმა არ ამოიღეს, საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ფაქტი შემდგარიყო და მერე ატეხეს წიოკი. ეს არის საბაბი არეულობისთვის, მეტი არაფერი.

— ვის შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა? ხელისუფლებას ხომ შეეძლო გავრილოვი საპარლამენტო ორგანოში არ მიეღო.

— ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა, მათ შორის, რაც თქვენ ჩამოთვალეთ. ამის გამო, ყოველთვის, მწვავედ ვაკრიტიკებდი როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე მის ცალკეულ ლიდერებს. ხალხი მმართველი გუნდის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა გამოიყვანა. კერძოდ, იმან, რომ ეს პოლიტიკური ძალა არ დაისაჯა. აქ საუბარი არ არის მაინცდამაინც დაპატიმრებაზე. „ნაცების“ ქმედებების პოლიტიკური შეფასება უნდა მომხდარიყო. რეალური დანაშაულის ჩამდენები, რა თქმა უნდა, სასჯელს უნდა იხდიდნენ. ნახეთ რა ხდება: თითქმის ყველა სტრუქტურაში ჩაბუღებულნი არიან „ნაცების“ ნარჩენები, ხოლო ის ხალხი რომლებიც მათი ხელისუფლების დროს რეპრესირებულნი იყვნენ, ციხეში იჯდნენ, რომელთაც ბიზნესები წართვეს ან ქონება ჩამოართვეს, დაასახიჩრეს, ამ პროცესების მიღმა არიან. ანუ, ადამიანები, რომელთაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მისასვლელად თავი სასწორზე დადეს, არანაირად

არ არიან დაკმაყოფილებულნი.

ყველა ნორმალური სახელმწიფოს ხელისუფლება ზრუნავს საკუთარი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებზე, მათ შორის, საკუთარი მოქალაქეების ინტერესებზე. დავუკვირდეთ რა მოხდა ტურისტული სეზონის წინ: საქართველოს საზღვარი ყველა ქვეყნისთვის გახსნილია, უმრავლესობასთან უფიზო რეჟიმია. ტურისტები იყო ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი. ხალხმა ტურისტული სეზონის წინ კრედიტები აიღო. ახლა, მათ, რა ეშველება? კარგია რომ ბანკის ვალები ჩამოეწერათ, მაგრამ ახალ ვალებს რა ეშველება? ამ ხალხს ხომ არ ჰქონდა სიზმარი ნანახი, რომ გავრილოვი ჩამოვი-

ორგანიზაციის წევრობა შეიძლება იყოს მხოლოდ ინსტრუმენტი შენი ინტერესების განხორციელებლად და არა მიზანი, როგორც ეს კონსტიტუციაში ჩაწერეს. ზვალ რომ ევროკავშირი აღარ არსებობდეს, რაღას იზამენ — კონსტიტუციას შეასწორებენ და სხვა რამეს ჩაწერენ?! ეს სრული არასერიოზულობაა. ოს, რომ ამ ორგანიზაციის წევრობა არ გაწვობდეს. მე ხომ არ მომიგონია, ბრიტანელებმა თქვეს: ბრიტანეთს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები, მას აქვს მუდმივი ინტერესები. საერთოდ, როცა პოლიტიკურ ელიტაში შეხედულებები და პრიორიტეტები 30 წელია არ იცვლება, ეს, უკვე, პოლიტიკური დიაგნოზია. ყველაფერი შეიცვალა — საბჭოთა კავშირი დაინგრა, მას მერე ახალი სახელმწიფოები წარმოიშვა, მსოფლიოში ძალები გადალაგდა, სრულიად ახალი დამატულობისა და საფრთხეთა კერები შეიქმნა. ამასობაში რუსეთი მოძლიერდა. ქართველები კი, რასაც 30 წლის წინ ლაპარაკობდნენ, დღესაც იგივეს ამბობენ. წარსულის გამოცდილებიდან ვერაფერი ისწავლეს.

ზოგჯერ პოლიტიკურ ძალას აქვს ზურგის ქარი — ყველაფერი სულ კარგად გამოდის. სააკაშვილს ეს პერიოდი ჰქონდა 2003 წლიდან დაწყებული, სანამ ჟვანიას მოინელებდა. იმის მერე ყველაფერი უკან-უკან წაუვიდა — არაფერში არ უმართლებს არც მას და არც



მის ე.წ. მეგობრებს. ვეღარ მიხვდა, რომ უნდა გაჩერდეს.

— როგორ ფიქრობთ, ვისი ფულით გვემართება „ნაცები“ ფერად რევოლუციას?

— ისინი, უკვე, აცდნენ რეალობას იმიტომ, რომ ფერადი რევოლუციების ეპოქა დამთავრდა.

— განვითარებულ მოვლენებს დავუბრუნდით. 2016 წელს ეუთოს ასამბლეას სლუცკი წარმოადგენდა, რომელიც „ნაცებმა“ დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს.

— დიას, მაშინ გიგი წერეთელს აწაღებდნენ ასამბლეის პრეზიდენტობისთვის. სხვათა შორის, შეგიძლიათ ინტერნეტში მოძებნოთ: გიგი წერეთელს, ახლა რომ ერთი ამბავი ატეხეს, სწორედ იმ გავრილოვის გვერდით აქვს სურათები გადაღებუ-

ლი. ეტყობა მაშინ არ იყო ოკუპანტი და ახლა გახდა. ანუ, თუ მათი პოლიტიკური მიზნისთვის საჭიროა ეშმაკსაც შეეკვრებიან. მათ ნამუსი არ აქვთ. მათ სინდისის ძარღვი არ აქვთ, ამ ძარღვის გარეშე დაიბადნენ. სლუცკის რაც შეეხება იგი რუსი დერჟავინია. იგი მხოლოდ თავისი სახელმწიფოს ინტერესებზე ფიქრობს. მიკვირს პუტინზე რომ იტყვიან-ხოლმე: საქართველოს როგორ ექცევაო. პუტინმა ინაუგურაციაზე ფიცი რომ დადო, არ უთქვამს: ქართველებისთვის ვიქნები კარგი პრეზიდენტიო. მან თქვა: რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისთვის ყველაფერს გააკეთებო და ასეც იქცევა. „ნაცებმა“ ისიც იკადრეს გავრილოვზე თქვეს: იარაღით ხელში იბრძოდა აფხაზეთში და ქართველებს ზოცავდაო, როცა ამ კაცის ბიოგრაფიაში მსგავსი არაფერია. მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობენ. თუ გავრილოვი ასეთი მიუღებელი იყო მანამდე უნდა ეთქვათ უარი და საქმე დემარშამდე არ მიეყვანათ.

— ქალბატონო ნანა, ვინ არიან მიტინგის თავკაცები მშვილდამე და მაქარაშვილი, მათ უჭერს საქართველო მხარს?

— რევოლუციებს არა უმრავლესობის წარმომადგენლები, არამედ აგრესიული უმცირესობა აწვობს. ამ აგრესიულმა უმცირესობამ საქართველო 9 წელი მართა და რაც აქედან მივიღეთ, ყველამ

როდის ვინაჟლით პროპოზიების პატივებისგან გარეშვას?

დღეს კვირა და ხვალ, როგორც ამბობენ, ლებტ მსვლელობა დაგეგმილი თბილისის ქუჩებში, როგორც „ღირსების მარში“ ...

„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი, ქალბატონი ირმა ინაშვილი მიიჩნევს, რომ გაერო-ლოვის ჩამოსვლა გიგა ბოკერიას, მიერ დაგეგმილი სპექტაკლი იყო.

აქვე დავძენ, ეს ის გიგა ბოკერიაა, რომელსაც სხვა ცხოველქმედებებთან ერთად ეკლესიის დარბევა ბრალდება. ის აღიარებს, რომ არის აგნოსტიზმის მიმდევარი, მოძღვრებისა, რომელიც თანხვედრაშია, როგორც ათეიზმთან, ასევე თეიზმთან, ანუ კიდევ არა აქვს გარკვეული ღმერთის არსებობა-არარსებობის ამბავი.

პარლამენტის წევრი „ნაციონალ-რაობიდან“ სალომე სამადაშვილი, რომელსაც სოციალურ ქსელებში ცხვირმოჭმულს ეძახიან, აცხადებს: შსს-მ მშვიდობიანი მიტინგი დაარბია.



ბიან ბაჩრაძე: პარლამენტარი, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი: „ქალბატონ სამადაშვილს მინდა ვკითხო: რატომ იყო მის მიერ წინასწარ დაშვებული საშვები დილის 12 საათზე პარლამენტის არაწევრებზე პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით?

გარკვეულმა ნაწილმა მაინც მოასწრო შესვლა და ყველას ახსოვს ის კადრები, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში სხედან ის ადამიანები, რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები და ამ დროს გარედან მოაწვდა უამრავი ხალხი, რომლებზეც საშვები იყო დაშვებული.

მადლობა ღმერთს, რომ პოლიციამ არ შეუშვა ისინი იქ.

აქ იკვეთება დანაშაულის სქემა. მათ აქვთ შიში, რომ, შეიძლება, ყველაფერი გაიშიფროს და დადგინდეს, რომ ეს იყო ჯგუფური, წინასწარ დაგეგმილი დანაშაული, რომელიც უბედურებაში უნდა გადაზრდილიყო“.

უბედურება ის იქნებოდა, კიდევ განმეორებულიყო 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ სცენარი, რომელიც, როგორც მერე აღმოჩნდა, არავითარი თავისუფალი ნების ადამიანების პროტესტი არ იყო, არამედ ყოფილა, კარგად დაგეგმილი ავანტურა, როცა შეიარაღებულ გადამტრიალებულთა ყაჩაღური ჯგუფი შეიჭრა პარლამენტში და ფეხებით შედგა იმ სკამზე, რომელ-

ზეც რუს დეპუტატს უკანალიც არ ჩამოადებინეს ახლანა.

შორს წაგვიყვანს იმის გახსენება, ვინ იყვნენ ეს ე.წ. გადამტრიალებლები — მათგან ბევრი 90-იანი წლების სამოქალაქო ომის მონაწილე და მხარდამჭერი გახლდათ, რომლებმაც 2003 წელს სახელმწიფოს დანგრევის სცენა მეორედ გაითამაშეს...

ბიან ბაჩრაძე: „ეს ხალხი რომ შეცვნილიყო პარლამენტში, გაეროვით კორდონი, შევარდნილიყვნენ და დაეკავებინათ პარლამენტი... იმ აგრესიული ჯგუფის გარდა, რომლებიც ჯოხებს და ქვეებს ურტყამდნენ პოლიციელებს, რამდენი პოლიციელი გამოათრიეს იმ ჯგუფიდან და დააზიანეს, რამდენი მოხვდა საავადმყოფოში?..

ეს იყო გადამტრიალების მცდელობა, მაგრამ ეს მარტივად არ დამთავრდებოდა.

30 წელიწადია, პოლიტიკაში ვარ და ჩემს თვალწინ ხდებოდა

მე მაქვს კონტაქტი სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელთან და მათ უარი განაცხადეს გახარაის დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებაზე.

მე ვფიქრობ, პოლიციელებსაც უნდა გაეუფრთხილდეთ. არ უნდა მიეყენოთ დაზიანება არც ერთ შემთხვევაში“.

ბიან ბაჩრაძე: „ნაციონალიზმი“ ის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც, როცა ხელი-სუფლებში მოვიდა, 2004 წელს ცხინვალში შევარდნენ — გახსოვთ, როგორ დააჩოქეს ჩვენი ბიჭები. არეულობის მოწყობა უნდოდათ იქ და დარეგულირებული სიტუაცია ცხინვალთან — სამარშრუტო მანქანები დადიოდა, ვაჭრობა მიმდინარეობდა, ნორმალური სიტუაცია სპეციალურად არიეს, რომ შემდგომში კონფლიქტები გამოეწვიათ იქ.

2007 წელს ზვიად გამსახურდიას მიერ გაუქმებული ავტონომიური ოლქი აღადგინეს. აღადგინეს საზღვრებში, რომლის გარშემო ახლა ბორდერიზაცია მიმდინარეობს.

2008 წელს რუსები შემოსული იყვნენ საქართველოში ტექნიკით, ცოცხალი ძალით, გრიგოლ ვაშაძე, რომელიც, იცით, ვინც არის და რა ბეგუნიდით აქვს რუსეთთან დაკავშირებით, იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და პორდაპირ ეთერში განაცხადა: რუსები არ ერევიან სიტუაციაში. სააკაშვილიც იგივეს ამბობდა.

ეს არის ხალხი, რომლებმაც ომის პერიოდში თავისი ჯარისკაცები მიატოვეს ბრძოლის ველზე და მიცვალებულებიც იქ დატოვეს ისე, რომ უკან არც მოუხედავთ, ისე გამოიქცნენ იქიდან.

მინდა ვკითხო სამადაშვილს და კახიძეს (ოთარ კახიძე — ი.კ.) — მითხარით, თქვენი ორგანიზებული აქცია რომ იყო ეს, ადამიანებს თვალეში რომ დაეფსოთ, თქვენ სად იყავით, სად გაიქცით, რატომ შეტოვეთ ეს ხალხი იქაურობას? ერთი დაზიანება რომელიმე მიიღო? ეს ხალხი გამოდის და ვითომ ანტირუსული დროშებით დარბიან“.

ესენი, ალბათ, კიდევ დიდხანს ირბენენ და იმიტინგებენ, სანამ კანონი და სამართალი თავის ადგილს არ მიუჩენს, მაგრამ ხალხმა რა ქნას?!

დაიღალა ხალხი!

ირანდა პალანდამი 593 56 11 88



მოგენატრათ ვოვა? ნაიკუზაით, ვოვა!

საოცარი ამბები ხდება ჩვენს თვალწინ — რატომღაც ყველას პუტინი შეუყვარდა უცებ, მათ შორის იმათაც, ვინც ცოტა ხნის წინათ მისი მტერი და მთავარი მოწინააღმდეგე გვეგონა.

ზუსტად იმ დროს, როცა პარლამენტის წინ ნაცი ბიძიების და ნაცი ბიცოლების წაქეზებით პუტინს ნახუიზე აგზავნიდნენ თინეიჯერი თიკა, თინეიჯერი ნიკა და ტრანსგენდერი ლიკა, „წინა ცხოვრებაში“ ჯამბული, დონალდ ტრამპი, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის პრეზიდენტი, ვლადიმირს გულში მაგრად, მაგრად იკრავდა და სიყვარულს ეფიცებოდა.

საუბარი კი იქნებოდა, მაგრამ ჩვენი სტრატეგიული პარტნიო-

რის, ჩვენი ერთადერთი იმედის, აშშ-ის პრეზიდენტისგან რატომ არ იყო არავითარი რეაგირება — არც აღშფოთება, არც შემოფოთება?

რანაირი მეგობრობა და პარტნიორობაა ეს, როცა კაცს, რომელიც შენს მეგობარს და პარტნიორს შიშვლილთ სულის ამოხდომას უპირებს, გულში იკრავ და საუკეთესო ადამიანს ეძახი?

ბავშვებო, გესმით, რა უთხრა მია დონალდმა მია ვოვას — საუკეთესო ადამიანი ხარ შენო, რაც იმას ნიშნავს, რომ მია ვოვა მია დონალდის მეგობარია, თქვენ კი მია დონალდის მშაკაცს ხუილოს ეძახით და პირში უნდა მოგცეთო, ემუქრებით.



ზომ იცით, ეწყინება ეს მია დონალდს და მეორეც: ცოტა უხერხული ზომ არ არის პუტინის ხსენებაზე ვერევე სექსუალურ კონტაქტზე რომ გადადიხართ!

ერთი მშვილდაძეა მშვილდით მომართული, მაგრამ იმასაც ჭარბქონიანობა აწუხებს, სხვებს კი, ამ ახალგაზრდებს ომისკენ რომ მოუწოდებენ, 2008-ში ისეთი შიში აქვთ ნაჭამი, მილიონები რომ შეუგდო, იმის გამო-სატანად ვერ გაბედავენ ომში შესვლას.

თინეიჯერი თიკა, თინეიჯერი ნიკა და ტრანსგენდერი ვიკა კი იომებენ, მაგრამ ისინი როგორ დაამარცხებენ კბილებამდე შეიარაღებულ პუტინის ჯარს? — ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ საქართველოს დაუყოვნებლივ მისცენ მაპი! — აცხადებს საქართველოს, უკაცრავად, საქართველოს კი არა, სააკაშვილის ძველი მეგობარი მეთუ ბრაინა, მაგრამ მას ჩვენ ვინ მოგვაშავებს, როცა დონალდის პუტინის მეგობარია, მერკელი პუტინის მეგობარია, რეჯეფი პუტინის მეგობარია...

საქართველო ისევ მიჯაჭვული აშორანის მდგომარეობაშია - ისევ მოფრინდა „ჩიზი“ და ნახევრად ამოძრობილი კალო კვლავ ბოლომდე ჩავარჭეთ

20-21 ივნისის მოვლენამ ჩვენს გარშემო კიდევ ერთხელ ჩაატარა დიდი ლუსტრაცია. შემდგომმა დღეებმა კარგად გვაჩვენა, თუ რა ავი ზრახვები ამოდრავებთ ანარქისტ „ნაციონალებს“ და როგორ აპირებენ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას. რა შეცდომებს უშვებს ხელისუფლება და რა იქნება შემდეგ? ამ თემაზე „საერთო გაზეთს“ პოლიტილოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:

– ბატონო სოსო, ჯუმაბერ პატიანიშვილის დროიდან მოყოლებული, ყველა საპროტესტო თუ უპროტესტო აქცია ვნახე. ზოგი გულწრფელი იყო, ზოგიც მაიმუნური, მაგრამ ამნაირი ჩათლახური და აფერისტული, გულწრფელ აქციად რომ მონათლეს, არაფერი მინახავს. აბა, დაუკვირდით, დაიწყეს სხვებმა, გააგრძელეს სხვებმა, შემდეგ ხელში ჩაიგდეს ე.წ. პოლიტიკოსებმა – ვაშაძეებმა, ბოკერიებმა, უგულავებმა, მელიქიძეებმა, ბოლოს კი, თუ არ შეშლება, აგრძელებენ და მგონი ამთავრებენ გეგმა. ვისი ვიოლინო ვის როიალშია, ძალიან ძნელი გასარკვევია. აგერ, იქამდეც მივიდნენ, რომ კონცერტებს მართავენ.

- რა ეკონცერტებათ?
- მაკა ჩინუა მომღერალიც რომ ყოფილა, იცოდით?



– ვინ არის მაკა ჩინუა?
– ოოო... რა გჭირთ? ჩვენი პირველი ლედი რომ იყო, გიორგი მარგველაშვილის ცოლი.
– ვააა, არ ვიცოდი, მაპატიე.
– ამიხსენით, რასთან გვაქვს საქმე, რა ხდება ჩვენს თავს?
– საქმე გვაქვს ერთი მხრივ დილექტანტიზმთან, მეორე მხრივ – აბსოლუტურ უპასუხისმგებლობასთან და ამავე დროს, შედეგზე გაუთვლელ პოლიტიკასთან, თუ ამას პოლიტიკა ჰქვია.
– მოდი, დავაკონკრეტოთ, რას გულისხმობთ დილექტანტიზმში, უპასუხისმგებლობასა და გაუთვლელ პოლიტიკაში?
– დილექტანტიზმი იყო ის, რომ მართლმადიდებლური ღონისძიება თბილისში არ უნდა ჩატარებულიყო. ჩვენ წინა რამდენიმე ხელისუფლებაში გვყავდა ცუდი ხალხიც, აფერისტებიც, გოთვერნებიც, მაგრამ ამდენი დილექტანტი არასოდეს გვყოლია. მე ორივე ხელით მხარს ვუჭერ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, არ შეიძლება, 140-მილიონიანი ქვეყანა შენი მეზობელი იყოს და მასთან სულ იყო გაბუტული. ეს პოლიტიკა არ არის, ეს

დიპლომატია არ არის. ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეიძლება გაწყდეს ათასნაირი საბაბით – ყოფილა, დროშისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ, ეროვნული გმირები ცუდად მოუხსენიებიათ, მაგრამ შენ რომ ოკუპანტს ეძახი და ამ დროს რომელიმე ორგანიზაციის კონფერენციას გვემავ, რომელსაც არც დიდი გავლენა აქვს, არც დიდი ავტორიტეტი. მერე თავს იმართლებდნენ, საბერძნეთის ეგიდით უნდა ყოფილიყო, ან საბერძნეთს რა დიდი გავლენა აქვს, როცა სულ კრიზისებშია და ევროკავშირს შეპყურებს ხელეხში? ყველაფერს დაგანებოთ თავი, ხომ იცი, ვისთან გაქვს საქმე? კონსტრუქციული ოპოზიცია, როგორც ასეთი, ზღაპარია, ეს შეიძლება მოხდეს ომის შემთხვევაში, დანარჩენ დროს ყველა ჩასაფრებულია. მით უმეტეს,

თავმჯდომარე. აი, გეკითხები, თუ პარტია ამზადებდა გადატრიალებას, მისი ლიდერი საქმის კურსში არ იყო?

– მე იქით გეკითხებით, რატომ არ დაიბარეს პროკურატურაში გრიგოლ ვაშაძე?

– იმიტომ, რომ ეს იყო არა დაგეგმილი შეთქმულება, არამედ დაბალი დონის ხულიგნობა. შეთქმულების მომზადებას სჭირდება ინტელექტი, ფული, რესურსი და კიდევ ათასი რამე. ეს იყო იმის შედეგი, პარლამენტის წინ ხან პრემიერ-მინისტრს რომ აგინებენ, ხან ივანიშვილს, ხან კიდევ მინისტრებს და პასუხს არავენ სცემს. ეს არ არის ცივილიზებული პოლიტიკა, სოლიდურობა არ ჩანს, სერიოზულობა არ ჩანს. გამაგებინე, ქუცნაშვილს ეს საქმე ვინ ანდო? დარწმუნებული ვარ, კობახიძემ ისე მოაწერა ხელი იმ კონფერენციის დღის წესრიგს, არც კი წაუკითხავს. თუცა ეს არ ამართლებს, ბოლო-ბოლო, ვიღაცას მაინც ხომ უნდა ჰკითხო, რა ხდება? აგერ, რუსული პრესა აჭრელებულია, ქართველები ორი წლის განმავლობაში გვეხვეწებოდნენ, კონფერენცია ჩვენთან ჩატარეთო, დაგვაპატიეთ, ჩავედით, ტრაკში პანჩური ამოგვარტყეს და გამოგვყარესო. ეხლა ესენი ხვდებიან მაინც, რა გამოვიდა?

– რა გამოვიდა და ჩვენც კი პანჩური მივიდეთ. რუსებმა ერთი არ დაგვბომბეს, თორემ ისევ დაგვიყვანეს 2008 წლის მდგომარეობამდე.

– მიჯაჭვული ამირანის მსგავსად გამოვიდა, ჯაჭვს რომ ქაჩავს, ქაჩავს, ჩიტი მიფრინდება, დააჯდება, მუშტს მოუქნევს და ამ პალოს ისევ ჩაარტყობს ბოლომდე. თითქოს ცოტა სიტუაცია დათბა, ჩვენგან პროდუქცია გადიოდა, ტურისტები შემოდინდნენ და პალო ისევ ჩავარჭეთ ბოლომდე, ყველაფერი ისევ დავიდან უნდა დავიწყოთ. კიდევ ერთი უბედურება ის არის,



რომ არც "ნაციონალების" დროს და არც ამთ დროს არ მოხდა რუსეთის ბაზრის ჩანაცვლება, იყო და არის მხოლოდ ტრანზიტი, გავალთ ევროპის ქვეყნების ბაზარზე, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო. გარდა ამისა, თუ შენ ნამდვილი პოლიტიკოსი ხარ, არაპოპულარული ნაბიჯებიც უნდა გადადგა. ჩერჩილი წერს თავის მემუარებში, ნამდვილი პატრიოტი და ნამდვილი პოლიტიკოსი ის არის, ვინც ხშირად არაპოპულარულ ნაბიჯებზე მიდისო. რა, დე გოლისთვის ადვილი იყო, როცა ალჟირიდან მილიონზე მეტი ფრანგი გამოეყვა? ადვილი იყო, ალჟირისთვის მიეცა დამოუკიდებლობა? ბიძინა ივანიშვილს მართლა უნდა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, როგორც ყველა ჭკვიანი ადამიანი, ისიც ხედავდა, რომ საქართველო არანორმალურ გზას ადგა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ვერ მოახერხა. ის არ არის პოლიტიკოსი, არ უყვარს პოლიტიკა.

– ივანიშვილი თუ არ არის პოლიტიკოსი, სხვები ხომ არიან? მარტო ამ ერთმა ადამიანმა უნდა აკეთოს ყველაფერი?

– მაშინ შენ უნდა გქონდეს ისეთი ფილოსოფია, რომ გარშემო შემოიკრიბო ისეთი ადამიანები, რომლებსაც ენდობი და ამ ნდობას იმსახურებენ. ქართული პოლიტიკის ტრაგედია კიდევ ის არის, რომ გამსახურდი-ადან დაწყებული დღემდე ჩვენთან სასწორის ერთ მხარეს დევს პირადი ერთგულება, მეორე მხარეს – პროფესიონალიზმი. პირადი ერთგულება ყოველთვის სჯობნის პროფე-

სიონალიზმს. ეს ე.წ. ერთგულება, როგორც ვხედავთ, უკვე გადაძალადილექტანტიზმმა, დღეს ბიძინას ერთგული თითქმის აღარავენ დარჩა.

– გეთანხმებით, ივანიშვილის გარშემო ბევრი მოღალატე აღმოჩნდა.

– მე მაგათ პრაგმატიკოსებს ვეძახი, მაგათ გადაწყვიტეს, რომ მორჩა, "ოცნების" საქმე უკვე თავდაღმართში მიდის და თადარიგს იჭერენ. ეგენი მაინც ახალგაზრდები არიან, წინ იყურებიან და ეს გამოჩნდა მელიასთან დაკავშირებითაც, არც მწუხადი დაწვეს, არც შამფური, თორემ თავისუფლად შეედლოთ, საერთოდ გაეგდოთ პარლამენტიდან. ახლა კი მოხდა უპრეცედენტო რამ, დეპუტატს აუკრძალეს ლაპარაკი. ასეთი კახური მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. მელია ვითომ დასაჯეს, განცხადებების გაკეთება აუკრძალეს, მაშინ ამიხსენი, ერთი წელიწადი ხელფასი რაში უნდა ვაძლიოთ? "პარლამენტი" არის ფრანგული სიტყვა – "პარლე", რაც ნიშნავს ლაპარაკს. აი, ეს არის არაპროფესიონალიზმი. ეხლა შენ გჯერა, რომ ეს ვინმე გავრილოვი უცებ წამოხტა და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში დაუკითხავად ჩალო ტრაკი?

– არა, გავრილოვი ამბობს, თვითონ მიმიწვიესო.

– ჰო, სადაც მითხრეს, იქ დავექვიო. რაც შეეხება აქციებს, ეს ფაქტი გამოიყენეს საბაბად და აიყოლიეს ახალგაზრდებიც. სხვათა შორის, ახალგაზრდობაში დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაა, ვინაიდან პერსპექტივას ვერ ხედავენ, მათი აყოლიება იოლია. წლებია, ლექციებს ვკითხულობ, არ სწავლობენ, რა აზრი აქვს, სამსახურს მაინც ვერ ვიშოვიოთ. არადა, ადრენალინი დაგროვილი აქვთ და ეხლა ნახეს გამოშვების საშუალება.

– აი, უბედურებაც ეგ არის, რომ არ სწავლობენ და მერე სამსახურს ეძებენ. არადა, როგორც ვიცი, უსწავლელობა იწვევს გონებრივ ჩამორჩენილობას.

– რა თქმა უნდა, იწვევს ჩამორჩენილობას, მაგრამ ამას განსაზღვრავს უპერსპექტივობა და ბევრი გაუგებრობა. დღეს ბევრს ლაპარაკობენ, კოპაბიტაცია დაგველუპაო, ამ შემთხვევაშიც გვეშლება, ხალხმა ვერც კი გაიგო, რას ნიშნავს

კოპაბიტაცია. ეს არის მონანიება და პატიება. შემასხენე, ამ ქვეყანაში ვინმემ რამე მონანია? ან "ნაციონალურებს" ვინმემ რამე აპატია? არავითარი კოპაბიტაცია არ ყოფილა, ამ ქვეყანას ღუპავს არასწორი საკადრო პოლიტიკა, არასწორი სეკულარული ანტი-სოციალური ფონი, გუშინ ბენზინი ჩავასხი მანქანაში და 7 თეთრით იყო მომატებული. ნახე, რა ხდება რეგიონებში, რა ფასებია.

– კი, ბატონო, გლეხების სასარგებლოდ კარგი ფასებია, ყველაფერს ფასი დაედო, მაგრამ ძალიან არ მომწონს, რომ მაგალითად, კახეთში ადგილობრივი პროდუქცია ძალიან ცოტაა.

– ვიცოც, გურჯაანში ნათესავეები მყავს და თბილისიდან ჩატანილ პომიდორს ვიდულობენ.

– გაგანია ზაფხულში ბოდბის ხევის ბაზარი გადატენილია თურქული პომიდვრით, სირცხვილი არ არის?

– თან იტყუებინა, მარნეულიდან მოგვაქვსო, ძირს რომ დააგდო, ტენისის ბურთით ახტება. ვალი-აროთ, ბევრს შრომა აღარ უნდა, ბევრმა პრობლემების გამო მიწა მი-ატოვა და ასე შემდეგ. კაცო, გუშინ ვუყურებდი ტელევიზორში, ოთარ დანელია ლაპარაკობდა, ჩემი სტუდენტი იყო, დიპლომატიური აკადემია დამთავრა, დიპლომატობას აპირებდა, გავიხედე და სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნეს, ეხლა კიდევ პარლამენტში სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარეა. დიპლომატობას რატომ სწავლობდა, რაში გადაიხდა ამდენი ფული, ან მაგან რა ჩემი ფეხები იცის სოფლის მეურნეობისა? აქ ფსიქოლოგიური მომენტია, კაცი დაინიშნა იქ, რის აზრზეც არ არის, ამას ხედავენ ახალგაზრდები. აი, ასეთ ქვეყანას მომავალი არ აქვს!

– კარგი ეხლა, მთლად ნუ გადაგვიწურეთ იმედი. გამოვა ვიღაცა და გეტყვით, ჩვენ უარესსაც გაუძელითო.

– კარგი რააა, ამომვიდა უკვე ყელში, შაპ-აბასმა ეს ქნა, თემურ ლენგმა ის ქნა, არაბებმა და მონღოლებმა, მორჩა, ეგ სადღევრებელი კარგია!

– როგორ ფიქრობთ, "ნაციონალურებს" ავაზაკობა ისევ გაგრძელდება?

– რასაკვირველია, გაგრძელდება... მე არ ვიცი, როგორ შეცვლის ვითარებას ნულოვანი ბარიერი. მთლად ნულოვანი არ გამოდის, 10-12 ათასი ხმა მაინც საჭიროა. აქ არის ერთი დიდი საფრთხე, ამ დღეებში შეხვედრა იყო, პრეზენტაცია გამართეს ამ პროპორციული საარჩევნო კანონისა, დარბაზში ისეთი ხალხი დაეინახე, კინაღამ გული გამისკდა –



შეგარდნადის დროს სახელგატეხილები, ჩათლახები, გოთვერნები. ოფიციალურად 263 პარტია ყოფილა დარეგისტრირებული, წლის ბოლომდე იქნება 500, ეხლა ყველას გაუჩნდა იმედი. როგორ იქნება საქმე, ამათი მიღებული კანონებით უნდა იცხოვრონ ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა?

– ჯერ ერთი, 500 პარტია ვერ გავა პარლამენტში, იქ სულ 150 ადგილია და მეორეც, ამით იმედებს მალე ვნახავ დამსხვრეულს. ერთი რა მაგის პასუხია და გიორგი გახარია უნდა გადადგეს?

– მოიცა, გახარია რომ გადადგეს, ბიძინა ივანიშვილი დედა ტერეზას ძებნას დაიწყებს?

– ჩემი აზრით, არ უნდა გადადგეს, მან გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა.

– კი, არ უნდა გადადგეს, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე, წესით უფლებამოსილება უნდა შეუჩერდეს გამოძიების დამთავრებამდე. აი, ეხლა პონგონში მოხდა შეჭრა, დალევს პარლამენტი და წვეთი სისხლი არ დაღვრილა. თან დაუკვირდი, ყველა შეგარდნილს ცხვირზე რესპირატორი ჰქონდა, ორი დღით ადრე გამოაცხადდა მთავრობამ, თუ თავდასხმა იქნება, გაზს გაუშვებთო. ამ მოვლენას ცოტა უფრო მეტი საფუძვლები აქვს, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. გამოდიან და იძახიან, მარტო ნარკობანები არიანო, მთლად ასე ვერ ვიტყვით, იქ წესიერ ბავშვებიც არიან. ერთი ისიც მაინტერესებს, როცა შტურმი დაიწყო, უმრავლესობის წევრები რატომ არ გამოვიდნენ და არ უთხრეს, დაუშვით, შემოვარდით, მერე რა? ეკა ბესელია სხვებს ადანაშაულებდა, რატომ არ გამოხვედითო, თვითონ რატომ არ გამოვიდა?

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პარლამენტში შეგარდნილ ხელისუფლებას დაამხოვდნენ, მაგრამ პრეცედენტის დაშვება უფრო გაათავსებდა "ნაციონალურებს" ათასი

ჯურის ვიგინდარას. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ გეგმა, რომ რეგიონებში უნდა დაეკავებინათ ადმინისტრაციული შენობები.

– არაფერი გართულებები არ იქნებოდა, კარგი რა, თვითონაც არ იციან, რას აკეთებენ, შეცვივდებიან პარლამენტში და რა, ახალ მინისტრთა კაბინეტს შექმნიდნენ? იტყვიდნენ, ამის შემდეგ მელია იქნება პარლამენტის თავმჯდომარეო?

– ისე, რაღა დაგიძლიოთ და მიხო სააკაშვილს ძალიან დაუძველდა მეთოდები.

– აბა რააა, რაღა დროს შეგარდნები და გადავარდნები? ვეროპაში, სადაც მართლა დემოკრატიაა, სადმე გინახავს, რომ პარლამენტში შეცვივდნენ? სერბეთში იყო, საბერძნეთში იყო, იქაც მოხდა სოციალური უკმაყოფილების გამო. აი, ბიძინა ივანიშვილი წავიდა ორ მნიშვნელოვან დათმობაზე – ჩატარდება პროპორციული არჩევნები და გადაყენება პარლამენტის თავმჯდომარე, ამით უნდა სარგებელი ნახოს ქვეყანამ და არა ისევ მარგინალმა, ნაძირალა პოლიტიკოსებმა. გაოცებული ვარ, 20-30 წლის წინ პოლიტიკოსები დასაფლავდნენ და ეხლა ისევ წამოდგნენ. ისე არ მოხდეს, ვაის გავეყარე, ვიუს შევეყარეო.

– არადა, ვერ აუჯრამალავთ, ასეთია დემოკრატის ბუნება, საფლავიდან წამოდგა თუ სარკოფაგიდან, ვერ ეტყვი, არჩევნებში მონაწილეობას გიკრძალავო.

– თუ მანქანის მართვა არ შეიძლება ფსიქოს გარეშე, რატომ არ შეიძლება, ამათაც დაუწესოთ?

– ფსიქოს ადგება 25 ლარი ღირს, ვინ გამოწმებს გიჟი ხარ თუ ნორმალური? ლამის ბაზრობებზე იყიდება, ზოგი 15 ლარად შოულობს.

– ჰოდა, რაღაზე ვლაპარაკობთ? ვნახოთ, დაეკვირდეთ, ყველაფერი უახლოეს ხანში გამოჩნდება.

გელა ზაქარაიანი
555 48 48 61

ნა-დი! ნა-დი! ნა-დი!

აი, ამხელა კაცი ვარ, რამდენი მიტინგი, რამდენი აქცია არ მინახავს, მაგრამ ასეთი „მრავალფეროვანი“ არჩევანი არ მქონია.

ეროვნულ-მართლმადიდებლური გინდათ? ავერაა პარლამენტის წინ, რუსთაველზე!

ელგებულ-ციხარტყელური გნებავთ? – ესეც აქვია, რუსთაველზე!

ანტისაკუპაციო, სადაც გახარიას გადადგომას ითხოვენ და მიშა შვილიძემ იკრიჭება ყინულზე წაქცეული სახედარივით? არ არის პრობლემა, ავერაა, ესეც რუსთაველზე!

ტარტაროზ გაბუნიას და ქათამ გვარამიას საწინააღმდეგო გნებავთ? „ერუსთავი 2“-ის ოფისთან მიბრძანდით და ისინი იმედი ყოველ საღამოს, სადაც გადაკრუხებულ ქათამებს აფრენენ!

ზღვაზე ნებივრობთ, რუსთაველზე და საბურთალოს ვასვლას ვერ ახერხებთ? შეკვეთილში, პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის სახლთან გაგიშლით კარავს, შეგიძლიათ ფორმალურად იმიშვილოთ კიდევ, ყოველ საღამოს უცნობი პირები მოგაკითხავენ შავი, დაბურულ-მინებიანი მანქანით და უფასოდ მოგართმევენ სხვადასხვა სახის



კონსერვებს, წვენებს, შაურმას და ასე შემდეგ!

ვიმეორებ, აქცია-მიტინგების არჩევანი დიდია, „იმონაწილევეთ“, გაერთეთ, იძახეთ: ჯოს, ჯოს, ჯოს, ჯოს! ოღონდ აუცილებელი არ არის, იცოდეთ, რისთვის, ვისთვის და რატომ მონაწილეობთ. თუ აბრა-ზარი შურნალისტები გკითხავენ, რას ითხოვთ, რას აპროტესტებთო, ცხვირი აიბზუეთ, ხელი აიქნეთ, ზემოთ უმისამართოდ გაიხედეთ და მიუგეთ: წადი!

რას ნიშნავს „წადი“? ეს გახლავთ მაგიური სიტყვა, რომელიც ყველა აქციაზე საშვის მაგივრობას ასრულებს. წა-დი, წა-დი, წა-დი! – უნდა იძახოთ, რაც შეიძლება ტემპერამენტისადაც, ხმის ჩახლქვამდე, ჭინთამდე. ოღონდ, გაფრთხილებთ, როცა გაზს უკიდურესად მოუმატებთ, უკან თითო მიიფარეთ, თორემ შეიძლება რამე გაგძვრეთ და უბედურება დატრიალდეს. ამ ქვეყანას კიდევ ეგ უნდა?!

წა-დი, წა-დი, წა-დი! – ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ვინ უნდა წავიდეს, საიდან და რატომ. ისე, რომ იცოდეთ, აქაც ფართო არჩევანია – წა-დი, წა-დი, წა-დი (შეგებულბაში), წა-დი, წა-დი (ჯანდაბაში), წა-დი, წა-დი (ლოხანაში), წა-დი, წა-დი (ლოხანაში), წა-დი, წა-დი (ლოხანაში).

საბაპაშვილი (ეგ ისედაც წასულია მოუსაველეთში).

პრობლემა, რასაც დღეს პირადად მე რუსთაველზე ვხედავ, გახლავთ ის, რომ ადგილი არ გვყოფნის. ამას წინებზე მივმართო თბილისის მერიას, ემანდ ერთი პატარა კარავი ჩამადგმევინეთ-მეთქი და იცით, რა მომწერეს? შენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ ყველა ადგილი დაკავებულიაო. ნუ, რას ვიხამ? დაველოდები ჩემ რიგს!

ავერ, ახლა გავიგე, თურმე ვიღაცები რუსთაველზე ქმნიან პარტიზანულ მოძრაობას სლოგანით: „არა ოკუპაციას, გადადგეს გახარია“! თუ არა ოკუპაციას, მაშინ გახარია რაღა შუაშიაო? – იკითხავთ თქვენ და მართლებიც იქნებით. დიხხ, ეგ შეკითხვა მეც გამიჩნდა და საქვეყნოდ განვაცხადე, უფრო სწორად, ვიკითხე და როგორც ნანუკა ჟორჯიანიანის შვილმა მაცნობა, თურმე ეს იმდენად გულწრფელი აქცია ყოფილა, ზმირად რაღაცები ერთმანეთს ვერ ებებოდა. გარდა ამისა, თურმე მამუკა ხაზარაძეს და მის ძმაცაცებს ისე უყვართ მამული, მის დეოკუპაციას ხედავენ გიორგი გახარიას გადადგომას. მაინც არ გამოდის, მაინც სად ერეკლეს, სად – პაპაჩემის ყუ-

რებიანი ქუდივით გამოდის, ხომ? ისე, რა მაგის პასუხია და... მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, სექტემბერში საზოგადოებრივ მოძრაობას ვქმნი, სხვა გზა აღარ არსებობს, ქვეყანას გადაარჩენა სჭირდებაო. ახლა კი ვეღარ დაგიძლიებო, პირდაპირ გეტყვით: მობეზრდა ამ კაცს ტატარაყუნა გოგო-ბიჭების აღმა-დაღმა სირბილში ფულის გადახდა, ეს გახარიაც არ აპირებს გადადგომას და თქვა, მე თვითონ მივხედავ საქმესო. ხაზარაძეს ვაძლევ იდეას, ჯერ დაარქვას „მე თითონა“, შემდეგ კი გადააკეთოს „ვეროპელ ტრულალებად“. სხვათა შორის, ბატონ მამუკას უკვე გამოეხმაურა დიდი ქართველი მოღვაწე ფადი ასლი. აი, მისი განცხადება:

„სულ ახლახანს მივწერე მამუკა ხაზარაძეს და ვუთხარი, რომ მხარს ვუჭერ, დავიღალე იმით, რასაც ქვეყანაში ვხედავ, ჩვენ გვჭირდება ალტერნატივა“.

თქვენი არ ვიცი, ბატონებო და ქალბატონებო, მაგრამ მე, როგორც ერთმა რიგითმა ქართველმა, ფადი ასლის განცხადების შემდეგ შევებით ამოვისუნთქე. მაღლობა, უფალო, რომ ბოლომდე არასოდეს გვწირავ!

გელა ზაქარაიანი
555 48 48 61



საქართველოს ეკონომიკა რომ განვითარდეს, საქიროა რადიკალური, რევოლუციური ცვლილებები

ვაგრძელებთ საუბარს „სოციალ-დემოკრატიული საქართველოს განვითარებისთვის“ დამფუძნებელთან ბიკა შორაშოლიანთან:

— ბატონო გია, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები დაიძაბა. მან სანქციები დაგვიწესა, იკრძალება ფრენები, ტურისტების შემოსვლა. საგარეოდ, რა ზარალი შეიძლება მოადგეს საქართველოს პუტინის ბოლო სანქციების შედეგად და რამდენია დღეს, საქართველოში, რუსული ეკონომიკის წილი?

— ზოგადად, ტურიზმის წილი, განსაკუთრებით კი, სეზონურის საკმაოდ დიდია. ამაზე უფრო ზუსტად, ალბათ, ეკონომისტები ისაუბრებენ. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ: საქართველოში შემოსული ტურისტების 24% რუსეთიდან იყო. ასევე, ძალიან მაღალი იყო რუსეთიდან ფულადი გზავნილების ოდენობა, სადაც მილიარდ ნახევარ დოლარამდე.

ში სასარგებლო ვითარების დამყარების შესაძლებლობა. ვფიქრობ, ეს რუსეთისთვისაც შეცდომა იყო. ასევე, ჩემი აზრით, რუსეთის მიერ დღეს მიღებული გადაწყვეტილებები არც ამჯერად ემსახურება რუსეთის ინტერესებს, რომელიც წესით ორიენტირებული უნდა იყოს სიმისკენ, რომ წინააღმდეგობები, რაც მის მიმართ ანტიგანწყობის გაღვივებას უწყობს ხელს, მინიმუმამდე დაიყვანოს. დღეს რუსეთს არ აქვს შესაძლებლობა, ყოველივე ძალის მემკვიდრეობით გადაწყვიტოს. ჯერ ერთი არ მგონია ეს რუსეთის მომავლის ინტერესებში შედიოდეს. ეს გახლავთ ილუზია, თითქოს, რუსეთს შეუძლია მაგალითად, აშშ-ს წინააღმდეგობა გაუწიოს. რეგიონალურად, მან, შეიძლება ისეთი ქვეყნები დააზიანოს როგორც არის საქართველო, უკრაინა და ა.შ. მაგრამ თუ ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ მან წინააღმდეგობა გაუწიოს და გეოპოლიტიკურად აშშ-სთან, გარკვეული, წონასწორობა და ბა-

ნარიანობის გათვალისწინებით, როგორც აშშ-ში. დიახ, ჩინეთის ეკონომიკა აშშ-ს ეკონომიკის ტოლია. ამიტომაც, დღეს, მსოფლიოში მთავარი წინააღმდეგობა ამერიკასა და ჩინეთს შორის არის. ცხადია, ამაში სხვა ქვეყნებიც არის ჩართული. აქ, ასევე, თავს იჩენს ირანის, ჩრდილოეთ-კორეის, რუსეთ-უკრაინის, რუსეთ-საქართველოს, სირიის, ერაყის და ა.შ. პრობლემა. თვითონ ევროკავშირი ძალიან სერიოზულ კრიზისს განიცდის. ამკარაა, ბრექსიტის პრობლემა. გარდა ამისა, ევროკავშირში ევროსკეპტიციზმიც ძალიან მნიშვნელოვანია. აღმოსავლეთ-ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში და არამხოლოდ იქ, არამედ ისეთ ქვეყნებში როგორებიც არის იტალია, ავსტრია, საბერძნეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებია. ამ ვითარებაში, ცხადია, ჩვენ, უაღრესად არაპროგნოზირებად სამყაროში ვცხოვრობთ. შეიძლება მავანმა სხვაგვარად გამოგოს, მაგრამ ყველაზე უფ-



ქართველი ხალხის საერთო განწყობა იყო. დღეს, ვხედავთ, რომ არარსებული რაღაცების დროშებს წვავენ, არადა, წარმოდგინეთ, 30 წელია საბჭოთა კავშირი ადარსებობს. რის დროშას წვავენ, ეს ხომ დღევანდელი არ არის? უნდათ, აბსოლუტურად, მანაპულირებადი სივრცე შექმნან. ჩვენი პოლიტიკის მთავარი პრობლემა, თუ შიშობა ამახ საზოგადოებაში ან დიდი, შავი შრიფტით დაწვრილი — ეს არის საღი აზრის პრიზისი. ამის შემდეგ მოდის — პოლიტიკის, სახელმწიფოს პრიზისი და ა.შ. საზოგადოებაში საღი აზრის კრიზისია. ადამიანები აშკარა რაღაცებს არ აღიარებენ, ვერ ხვდებიან რა ხდება და დისკუსიებს რაღაც მითებზე, სიმბოლოებზე მართავენ. ეს კრიზისი თუ არ დაეძლიეთ, არაფერი გვეშველება. სამწუხაროდ, ელიტურ ჯგუფებში, მედია-სივრცესა თუ ანგაჟირებულ არასამთავრობო სექტორში, ეს კრიზისი ძალიან ღრმად არის წასული. ეს ჯგუფები კონცენტრირებული იმ საკითხებზე არიან, რაც სულაც არ არის პირველი რიგის მნიშვნელობის. სინამდვილეში, დღის წესრიგი არის სხვა. ეს ხალხი რაზეც საუბრობს, ჩვენს ინტერესებს ბევრად სცდება. ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგი გამჭრიახი პოლიტიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგიდან. ის რაც ჩვენთვის მთავარია, ამაზე საუბარი არ მიდის. ამ ვითარებაში რა გზა გვჩნდება? — როგორც რომელიმე 200 წლის განმავლობაში იმპერიალ-დემს, რომ პარტიზანი უნდა დაინებო, ასევე, ჩვენ უნდა ვიმპროვიზოთ: სახელმწიფო არ უნდა დაინებო, არა! — სახელმწიფო

გადატრიალებას და კი პოლიტიკურ გადატრიალებას. პოლიტიკური კლასი უნდა შეცვალოს. თ. სალი აზრი, პოლიტიკური კლასის ცვლილება და განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება — აი, ჩვენი ძირითადი მიზნები. ვის შეუძლია ამის გაკეთება? — რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენს ხალხს.

— ბატონო გია, წყევან, ვითომ, პატრიოტული შემახილები ახსენეთ. სამწუხაროდ, მითინგზე ახალგაზრდების უკან დგას ხალხი ვინც ერთხელ უკვე დაამხო კანონიერი ხელისუფლება, ქვეყანა სამოქალაქო ომში გახვია, ტერიტორიები დაგვაკარგინა და დღემდე დაუსჯელები არიან. როგორ ფიქრობთ, რა ფორმით უნდა ჩაერთოს საზოგადოება სახელმწიფოს მშენებლობაში. ზოგადად, ორი ტიპის საზოგადოება არსებობს — როცა პატრიოტიზმი საზოგადოების მთავარი ამოცანაა და მეორეა, მოქალაქეობა. ჩვენ რომელი მათგანს მივუყუთებებით?

— მაინცდამაინც სასარგებლო არ იქნება თუ ამ ტერმინებს კლასიკური გაგებით ვიხმართ. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ცვლილებას განიცდის. ჩვენ სახელმწიფოს ვარქმევთ იმას, რაც არ შეესაბამება ამ სახელის უკან მდგომ მოაზრებად საგანს. სინამდვილეში, ამ საგნებს სხვა სახელები ჰქვიათ. ამიტომ, მოდით ასე ვისაუბროთ: პატრიოტიზმი განუყოფელია იმისგან, რაზეც მე ვისაუბრებ. განვითარება მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია, რომელსაც თავისი სამშობლო, თანამოქმედნი და ქვეყნის მომავალს შედავს. ადამიანები რომლებიც მხოლოდ უკან იხედებიან, პატრიო-



რა თქმა უნდა, საქართველოში რუსი ტურისტების შემოსვლის აკრძალვა, ქართულ ეკონომიკაზე სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს. თუ გვეცოდინება, რომ აღნიშნული ქმედებები ანტისაოკუპაციო პოლიტიკის შეუწყობს ხელს და აქედან, გარკვეულ შედეგებს მივიღებთ, ცხადია, ამ შემთხვევაში, ტურიზმზე შეიძლება თვალის დახრებით, მაგრამ თუ ყველაფერი, უბრალოდ, ურთიერთობის დასაძაბად და იმისთვის არის, რომ ვიღაცამ ამის საფუძველზე გულში მჯიღი იცეს, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს და ტელევიზიებში გამოხვლით, პრანჭვა-გრეხვით მოიწონოს თავი, ეს მხოლოდდამხოლოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული საქციელია და მეტი არაფერი. რაც შეეხება რუსეთის მიერ დაწესებულ სანქციებს, რა თქმა უნდა, ამაში რაღაც ლოგიკა არის, მაგრამ მგონია, რომ რუსეთი ახლაც შეცდომას უშვებს ისევე როგორც 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ანკლავების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარებით. ეს ძალიან სერიოზული შეცდომა იყო, რაც ძალიან სერიოზულად გააუარესა რუსეთისთვის კავკასიის რეგიონ-

ლანსი შექმნას, ეს დრო წასულია. რუსეთი ადარ არის იმ ძალის მქონე, რაც საბჭოთა კავშირის დროს იყო. ეს საკითხი დამთავრებულია. თუ არ ვცდები, აშშ-ის ეკონომიკა მოცულობით, თითქმის, ხუთჯერ მეტია, ვიდრე რუსეთისა. სერიოზული გეოპოლიტიკური აქტორი, მსოფლიო დონეზე, რომელიც დღეს მოდის, რასაკვირველია, არის ჩინეთი. აქ, გახლავთ მილიარდნახევარი მოსახლეობა, თითქმის, ისეთივე ეკონომიკის მოცულობით, განსაკუთრებით, მსყიდველობითი-

რო „მშვიდი და სტაბილური დრო“ ცივი ომის პერიოდი იყო, როდესაც ასეთი ცხელი წერტილები ნაკლები იყო. მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ტემპი ბოლო 30 წლის განმავლობაში ბევრად მაღალი იყო, როგორც ევროპაში, ასევე, აზიის ქვეყნებში, ვიდრე შემდგომ. ცხადია, ეს დრო აღარ დაბრუნდება. თუმცა, ამ ყველაფერს თავისი მინუსები ჰქონდა. საბჭოთა კავშირის რაც შეეხება, ბავშვობიდან მომზრენი ვიყავით და საქართველოს დამოუკიდებლობაზე ვფიქრობდით. ეს



ტები არ არიან. ეს მაგალითი, წინა ინტერვიუშიც მოვიყვანე და ახლაც გავიხსენებ: არ შეიძლება მანქანით მივიდოდეთ და იმ სარკეში ვიყურებოდეთ, რომელიც უკანა გზას აჩვენებს. წინაც უნდა გავიხედოთ. აი, ამ გზით უნდა იაროს ჩვენმა ქვეყანამ. ამიტომ, პატრიოტიზმი რომელიც წინ არ იყურება და მხოლოდ წარსულზეა ორიენტირებული, არ გვარგებს. გასაგებია, რომ ფარნავაზის, დავით აღმაშენებლის და სხვა მეფეების დროს ძლიერი სახელმწიფო გვქონდა. მაგრამ არ შეიძლება ვიძახოთ: მოდი, ისეთი სახელმწიფო ავაშენოთ. ის სახელმწიფო დამთავრებულია, ისეთს ვეღარ ავაშენებთ და არც გვინდა. რად გვინდა სახელმწიფო,

და საზღვარგარეთ გამოცდილებას იძენს, მაგრამ აქ, თუ არ აქვს მას მუშაობის ასპარეზი, რა ქნას თავის ქვეყანაში მხოლოდ დასასვენებლად ჩამოვიდეს? საქართველო ეგზოტიკა ხომ არ არის, არამედ ქვეყანაა, რომელიც განვითარებული უნდა იყოს. ჩვენ არ გვინდა, რომ ეს დასასვენებელი ადგილი იყოს, მათ შორის, ჩვენი თანამემამულეებისთვის. ასე, ისინი, უკვე, ყოფილი თანამემამულეები გახდებიან. საქართველო უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების ადგილი, სადაც ჩვენი შვილები მის განვითარებაზე იფიქრებენ. ამიტომ, როცა თქვენ, სამოქალაქო საზოგადოებაზე მეკითხებით, მოგახსენებთ, ჩემს აზრს: მე, ბევრის მიმართ, იმ ფგუფებიდან

იყო რელიგიური თემები, სადაც ადამიანებს საკუთარი ხედვები აერთიანებდათ. ეს იყო პროფკავშირული გაერთიანებები, რომლებიც ხშირად, არათუ ფულს იღებდნენ, არამედ ენერჯიას და ამ ბრძოლაში ჯანმრთელობას წირავდნენ. ასევე, სამოქალაქო საზოგადოების საყრდენი იყო საგანმანათლებლო ინსტიტუტები. რატომ? — იმიტომ, რომ ისინი ისეთ პროდუქტს ანუ ცოდნას „აწარმოებენ“, რომელიც საჯაროა, ყველასთვისაა. ანუ, რაზეც ახლა, მე ვსაუბრობ, ეს ყველასთვისაა, ეს არ არის მხოლოდ ჩემი. თუ სამას ვინმე გაიზიარებს, მისასალმებელი იქნება. ასეა მეცნიერება, განათლების სისტემა და ა.შ. ეს არის სამოქალაქო საზოგადოების საყრდენები. ცხადია, ინსტიტუტების მიხედვით უნდა მოხდეს საზოგადოების დიდი ნაწილის გაერთიანება. მაგალითად, ჩვენ ძალიან კარგად ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ქალები სამართლიანობისთვის“. რამდენიმე წელია მათთან საქმიანი ურთიერთობა გვაქვს. ეს გახლავთ ნამდვილი, მასიური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ისინი არ არიან ორიენტირებული იმაზე, რომ ტელევიზიების მეშვეობით ილაპარაკონ, არამედ ხშირად, ჩვენთან თანამშრომლობითაც ახერხებენ ხალხს ბევრი პრობლემა გადაუწყვეტონ. ჯერ ერთი, ისინი, ადამიანებს ერთმანეთთან აზრის გაცვლის ასპარეზს აძლევენ. ტელევიზიის მეშვეობით ადამიანები



ციის არხები და ა.შ. აი, ეს არის სამოქალაქო საზოგადოება, სადაც მისი აქტიუობა, ძირითადად, თვითდაფინანსებაზე უნდა იყოს. ეს არ შეიძლება შეკვეთით კეთდებოდეს. — ბატონო ვაია, საუბრის დასაწყისში ახსენეთ, ბავშვობიდან დამოუკიდებლობაზე ვფიქრობდით. 30 წელია, რაც ფორმალურად დამოუკიდებელი გავხდით. სინამდვილეში, სახელმწიფო მაშინ არის დამოუკიდებელი როცა ინსტიტუციონალურად ფუნქციონირებს და ყველაფერი ერთ პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული. სააკაშვილი ყველაფერს ერთპიროვნულად აგვარებდა... — დიახ. სამწუხაროდ, სააკაშვილამდეც ასე იყო — გამსახურდიას, შევარდნაძის დროსაც ბევრი არაფერი შეცვლილა. ამ კუთხით, გარდატეხა არც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მოხდა. ჩვენ, შეიძლება განსხვავებული დამოკიდებულება გვქონდეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ გამსახურდიას, შევარდნაძის პერიოდი — ყველა ეს ჩვენი ისტორიაა, სააკაშვილის მმართველობის გარდა. ტომარია და შევარდნაძე ისტორიაა, სააკაშვილი კი — არა. მან არ მოინდომა, რომ ისტორია გამხდარიყო, თორემ, ბევრად უფრო ლოიალური ვიქნებოდით მის მიმართ იმიტომ, რომ ისტორიაზე გაბრაზება არ შეიძლება. ისტორია როგორც გვაქვს, ისეთად რჩება. მაგრამ ის რაც ისტორიაა ვინმეს თუ სურს ისტორია კი არა, არამედ სინამდვილე იყოს, ეს ლოგიკაში აცდენაა. ეს არ შეიძლება — რაც ისტორიაა, ისტორიად უნდა დარჩეს. მგონია, რომ „ქართული ოცნებაც“, მნიშვნელოვანწილად, არჩევნების შემდეგ ისტორიად გადაიქცევა და შესაძლოა მის მიმართ, როგორც ჩვენი ისტორიის მიმართ, ბევრად ლოიალური გავხდეთ. ჩვენ, სულ

საბჭოთა კავშირის ვაკრიტიკებით, მაგრამ სინამდვილეში რაც აქედან მართლაც საკრიტიკოა, იმაზე ყურადღებას არ ვამახვილებთ. ჩვენ, არც კი ვიცით რას ვაკრიტიკებთ. მაგალითად, საკრიტიკოა ისტორიის შეფასების ის მეთოდოლოგია, რომელიც საბჭოთა კავშირმა დაამკვიდრა. განათლებით ისტორიკოსი განლაგარა. ასეთი რამ, რაც ჩვენთან ხდება, ისტორიულ მეცნიერებაში არ არის. ეს იყო საბჭოთა მოდელი, სადაც ისტორია ტელელოგიურია. რას ნიშნავს ეს? — ეს ისტორია ხდება იმიტომ, რომ ასეთ შედეგებს უნდა მიაღწიოს. ანუ, მთელი ისტორია ვულგარული (ეს მარქსისტულიც კი არ არის) საბჭოთა იდეოლოგიაა. მთელი ისტორია იმისთვის ხდებოდა, რომ მერე, ეს დამთავრებულიყო და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მომხდარიყო. მთელი ისტორია ამ წესით არის ახსნილი. იქ, არის ვიღაცების შეფასება: ესე რომ არ მოქცეულიყო, ასე არ მოხდებოდა, ასე რომ მოიქცა, ეს კარგია. ვიღაც სხვანაირად რომ მოიქცა ისტორიის წინააღმდეგ წავიდა და ა.შ. ეს არის მითოლოგია. ჩვენ, ამ მითოლოგიას მივსდევთ. სახელმწიფოს აშენება შეიძლება ისტორიაზე დაყრდნობით, მაგრამ თანამედროვეობაში ცხოვრებით და წინ წურებით. მხოლოდ ისტორიით ქვეყნის აშენება შეუძლებელია. ამიტომ, ჯანსაღი კონსერვატიზმი არის უდიდესი ძალა. მაგრამ ამავდროულად საჭიროა მოქმედება, ენერჯია, რომელიც მათ შორის ცვლილებებზეა ორიენტირებული. ჩვენ, ყველანი დიდწილად კონსერვატორები ვართ — ჩვენი ცხოვრების წესს, ხედვებს ასე ადვილად ვერ ვიცვლით, მაგრამ თუ ჩვენ არავითარ ცვლილებებს არ განვახორციელებთ, წინ ვერ წავალთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24



სადაც ფეოდალები, ყმები არიან, სადაც ადამიანებს აწამებენ და ა.შ. ამას არავინ არ გულისხმობს. ჩვენ კარგად უნდა გავიანზრთოთ როგორი ქვეყანა გვინდა, თორემ ასე გამოვა, რომ ისევე ძველ დროში გვინდა დაბრუნება. მეორე და მთავარი წინააღმდეგობა — უიმედო განწყობა. თუ ჩვენ გვგონია, რომ ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, ამიტომ, ვფიქრობთ: მოდი ახლა ვისწავლოთ, მერე საზღვარგარეთ წავიდეთ და იქ, ვიმუშავოთ, ასე არაფერი გამოგვივა. პოლონეთის მთავრობის ბევრ ხედვას შეიძლება არ ვიზიარებდეთ, მაგრამ ერთს გეტყვით: წინა ინტერვიუში პროგრესული გადასახადის მნიშვნელობაზე ვისაუბრე. პოლონეთში, სხვათა შორის, პროგრესული გადასახადია. ვისაც წელიწადში 1500 ევრომდე აქვს შემოსავალი, 19% ექვემდებარება, ხოლო 1500 ევროს შემდეგ, გადასახადი 32%-ია. პოლონეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება: იმ ადამიანებს, რომლებიც 26 წლამდე ასაკის არიან და მათი შემოსავალი 1500 ევრომდეა, საშემოსავლო — 19%-იანი გადასახადი მოუხსნან. პოლონეთის მთავრობამ ისიც ახსნა, თუ რატომ მოიქცა ასე — რათა ეს ადამიანები პოლონეთში დარჩენილიყვნენ და იქ, მუშაობისთვის უკეთესი პირობები ჰქონოდათ და არა ქვეყანა დაეტოვებინათ და სხვაგან წასულიყვნენ. გეხსმით რაშია საქმე? — ეს გახლავთ ახალგაზრდობის და იმ საუკეთესო ნაწილის ქვეყანაში დატოვებისთვის გადადგმული ნაბიჯი. დღეს, ჩვენთან, აქ, მომუშავე ადამიანებს არსებული საშემოსავლო გადასახადებით შეუძლიათ ქვეყნის განვითარება? — ბუნებრივია, არა! არც უცხოეთში მომუშავეებს არ შეუძლიათ აქ, რაიმეს განვითარება. ცხადია, კარგია თუ ადამიანი მიდის



ვისაც სამოქალაქო საზოგადოებად მოიხსენიებენ, კრიტიკულად ვარ განწყობილი. ჯერ ერთი, პირველი — სამოქალაქო საზოგადოება არ არის საზოგადოების ნაწილი. თვითონ ეს ცნება — სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს იმას, რომ საზოგადოება არის ორგანიზებული გარკვეული წესით, ანუ, ადამიანები ერთმანეთთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ საკუთარი ინტერესების რეალიზებას მთავრობის გარეშე და ამავე დროს, საკუთარი ინტერესების აგრეგირებას, შეერთებას, ჩამოყალიბებას ახდენენ და მხოლოდ ამის შემდეგ ურთიერთობენ სახელმწიფოსთან. აი, ეს არის სამოქალაქო საზოგადოება და არა რაღაც ცალკეული სამკაცრიანი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პროფესიულად მუშაობენ, ხელფასი 3 ათასი დოლარი აქვთ და თუ არა ეს ანაზღაურება, მაშინ სამოქალაქო საზოგადოებები აღარ იქნებიან. სამოქალაქო საზოგადოების, რომელიც ხალხის ინტერესებისათვის მუშაობს, მთავარი საყრდენები ვიცით რაც იყო. ევროპისთვის, ტრადიციულად, ეს



ამას ვერ ახერხებენ იმიტომ, რომ ეს ინტერაქციული არ არის. მაგანი დაჯდება და ჭკუას ტელევიზორიდან გვარბივებს. მთავარი სოციალური აქტიუობაა, რაც ტელევიზიებში ჯდომით არ გამოიხატება. ასე, რომ ძალიან კრიტიკული უნდა ვიყოთ. ტერმინებს რომ თავი დავანებოთ, საზოგადოების გააქტიურება მნიშვნელოვანია. საზოგადოება უნდა იყოს აქტიური, ჩამოყალიბდეს საკუთარი აზრი, შექმნას კომუნიკა-



ღვაბზუს „ჩიხი“, სახელად იური გოგოტიშვილი

რატომ არ ასრულებს ჩინოვნიკი იური გოგოტიშვილი თავის მოვალეობას – უპიჯობის, გულბრილობის თუ პირადი ინტერესების გამო?

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის შესაბამისად, 2016 წლის 1 აგვისტოს იუსტიციის სამინისტრომ (№153 ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს მინისტრი თეა წულუკიანი) დაამტკიცა, როგორც თავად რეგისტრაციის წესი, ასევე საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესები.

„სახელმწიფოს მხრიდან მიწის ფართობების რეგისტრაციის დაწყება, მით უმეტეს, რომ პროექტი ითვალისწინებს შედავითებს, ძალზე დადებითი მოვლენაა, რადგან ხელმისაწვდომია ჩვენი ეკონომიკურად არცთუ დაღუბნილი მოქალაქეებისთვის. რამდენადაც ვიცი, ამ პროექტის განხორციელება ერთ-ერთი პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენმა ოჯახმა ამ საკითხით ფაქტობრივად ვერ ისარგებლა, რაშიც დიდი „წვლილი“ სახელმწიფო მოხელეებს მიუძღვის“, აცხადებს საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირის წევრი, იურისტი მაია გოგოტიშვილი.



მაია გოგოტიშვილი: „ძალიან ერთი წელი შესრულდება, რაც განცხადებით მიემართეთ საჯარო რეგისტრაციის ოზურგეთის მარეგისტრირებელ ორგანოს, რომ დაგვირეგისტრირდეს მემკვიდრეობით მიღებული მიწის ფართობი, თუმცა უშედეგოდ. ჩემი ოჯახი ოზურგეთის რიონის სოფელ ღვაბზუს მკვიდრ მცხოვრებელ ითვლება, ვფლობთ მამა-პაპისეულ 1931 წელს აშენებულ ორსართულიან სახლს 2100 კვ.მეტრ საკარმიდამო მიწის ნაკვეთით. 90-იან წლებში ჩატარებული მიწის რეფორმის ფარგლებში, მამაჩემს ვაჟა გოგოტიშვილს და ბებიას ლენა გოგოტიშვილს გადაეცათ 4103 კვ.მეტრი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, რაც დასტურდება 1995 წლის 17 ივნისს გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი 14/14-ით, რომელსაც ხელს აწერენ ღვაბზუს მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარე, რაიონის

მიწის რეგისტრაციისა და კადასტრის განყოფილების უფროსი და სხვა კომპეტენტური პირები. ხსენებული მიწის ფართობი ესაზღვრება ჩვენს საკარმიდამო ნაკვეთს, კომუნისტების მმართველობის პერიოდში აქ ჩაის პლანტაცია იყო, ჩვენს მფლობელობაში როცა გადმოვიდა, თხილის ბაღი გავაშენეთ. ამ მიწის ერთპიროვნულ მფლობელად, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 13 მაისის №327 ბრძანების ფარგლებში გვაქვს მიღებული, 2000 წლიდან მამაჩემი ვაჟა გოგოტიშვილი ფიქსირდება. ხელთ გვაქვს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული უძრავი ქონების საკუთრების მოწმობა, მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი, სადაც მითითებულია, რომ 4103 კვ.მ (დაუზუსტებელი) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესაკუთრება ვაჟა გოგოტიშვილის ოჯახი. რასაც თან ერთვის საკადასტრო რუკაც. მამაჩემი რომ იყო ამ მიწის მფლობელი, 2018 წლის ივლისში მომხადებული საჯარო რეგისტრაციის ამონაწერითაც დასტურდება, ნაკვეთს თავის დროზევე პქონდა მინიჭებული საკადასტრო კოდი (26.19.01.010). დაუზუსტებელი ფართობი იმიტომ ფიქსირდება, რომ მამაჩემი სისტემური რეგისტრაციის წესი მოქმედებდა. ამ მიწაზე ჩვენს შესაკუთრებას ისიც ადასტურებს, რომ მამაჩემი ვაჟა გოგოტიშვილი 2006 წლის ჩათვლით იხდიდა მიწის გადასახადს. ის ფიქსირდება გადასახადის გადამხდელად საგადასახადო შემოსავლების სამსახურში, ორივე მიწის ნაკვეთზე, ეს დოკუმენტაციაც ხელთ გვაქვს. მამაჩემი 2008 წელს გარდაიცვალა, დარჩა მემკვიდრეები, მეუღლე და ოთხი შვილი. მე გარდა იმისა, რომ შვილი ვარ, საქმეში წარმოვადგენ იურიდიულ ინტერესს, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. არსებობს ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა, სადაც მემკვიდრეებად ფიქსირდებიან დედაჩემი მანონ ებრაელიძე და ჩემი და-ძმები, ლელა, ალექსანდრე და ზვიად გოგოტიშვილები. ოზურგეთის მარეგისტრირებელი ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას, ან არ ფავს კომპეტენტური კადრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული მიწის ნაკვეთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაცია, თორემ რაში ჭირდება ამას ერთი წელი. ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარვადგინეთ, საკუთრების მოწმობაში უნდა განხორციელდეს ცვლილება, შესაკუთრებელ უნდა დაფიქსირდნენ ჩემი ოჯახის წევრები. ცნობისთვის, მემკვიდრეობა ხელშეუვალია, დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. ჩვეულებრივი მოვლენაა, მემკვიდრეები აგრძელებდნენ დანატოვარი ქონების ფლობას და განკარგვას.

2018 წლის 13 აგვისტოს, მიემართეთ მარეგისტრირებელ ორგანოს, განცხადება ჩემმა დამ ლელა გოგოტიშვილმა შეიტანა. რეგისტრაციის პროცესის გაჭიანურება ეჭვს გვიჩენს,

რომ ოზურგეთის მარეგისტრირებელი ორგანო ჩართულია როგორც დაინტერესებული პირი. ჩვენს შემთხვევაში, წლების წინ აღრიცხულ, საკადასტრო კოდინიჭებულ მიწის ფართობზე გვაქვს საუბარი. არსებობს მიღება-ჩაბარების აქტი, პრეზიდენტ შევარდნაძის ხელმოწერილი მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, მაგრამ ეს რატომღაც არაფერს ნიშნავს ღვაბზუს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელსა თუ ოზურგეთის მარეგისტრირებელი ორგანოსთვის. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაცია განხორციელდა საკარმიდამო 2100 კვ.მ მიწის ფართობზე და სახლზე, ამ შემთხვევაში არავითარი პრობლემა არ შეგვექმნია. მიწის რეფორმის ფარგლებში მიღებული 4103 კვ.მ მიწა გაეჩხრა ვიღაცას ყელში. სახვას-მით მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთის იდენტურობა როცა დგინდება, საქმეში ერთგვარად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში უნდა ჩაერთოს ღვაბზუს საკრებულოს წარმომადგენელი, რომლის მოვალეობასაც ახლა იური გოგოტიშვილი ასრულებს. ეს ადამიანი არის სახელმწიფო მოხელე, რომელიც თავს არიდებს დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, რის გამოც, ისიც დაინტერესებულ პირად წარმოიჩინდება. როდესაც განცხადება შევიტანეთ იდენტურობის დადგენაზე, ჩვენს შემთხვევაში არ არის აუცილებელი მომიჯნავე მეზობლების ჩართვა, რადგან ეს ფართობი დარეგისტრირებულია 2000 წელს, სამ მეზობელთან ერთად მივედი ღვაბზუს საკრებულოში. იური გოგოტიშვილმა რომ ნახა მეზობლები მახლდნენ, რომლებიც დაადასტურებდნენ ხსენებული მიწის ფართობის იდენტურობას, მოიმიჯნა, რომ საქმე პქონდა, დაკეტა კაბინეტი და წავიდა. ეს ხდება სამუშაო საათებში, როცა იგი ვალდებული იყო შეესრულებინა მოვალეობა. მე ოჯახით თბილისში ვცხოვრობ, იური გოგოტიშვილმა იცოდა რომ თბილისში უნდა დაებრუნებულყავი, იმ დღეს ხომ გაიქცა და მერეც ლამის ათი დღე სამსახურში არ მისულა.

იური გოგოტიშვილთან, რომ კავშირშია ოზურგეთის მარეგისტრირებელი ორგანო, ეს უკვე ეჭვს აღარ



იწვევს, ამ ორგანიზაციაში მუშაობს ბატონი იურის ნათესავი ინგა ჭანუყვაძე, რომელზეც არაერთხელ უთქვამთ, რომ სხვა „სიკეთებთან“ ერთად, საბუთების გადამალვაშიცაა შემწეული. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ამ სამსახურში და როგორც ოზურგეთელი ყვებიან, ნაციონალურ მმართველობის დაჭერას კი გადაურჩა, მაგრამ სამსახურიდან დაითხოვეს. მიზეზი თურმე ამ ქალბატონის „ოპოზიციონერობა“ ყოფილა, „ქართული ოცნების“ მიტინგებზე რომ დადიოდა, იმიტომ „დაუსჯიათ“. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქალბატონი ჭანუყვაძე სამსახურში რომ დააბრუნეს, ყველას ძალიან გაუკვირდა. მისი პერსონის გასაცნობად შევიძლიათ ინტერნეტ-სივრცეს მიმართით, იქ დევს მასალები და ოზურგეთელების პოზიციაც აღარ გაიკვირდებათ. ჩვენ მიწის ფართობის მიღება-ჩაბარების აქტი შენახული რომ არ გვექონდა და ახლა გამოვეთხოვა, ვერაფერს მივიღებდით, რადგან ოზურგეთშიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, რატომღაც დაიწვა არქივი და თითქმის მილიანად განადგურდა საარქივო დოკუმენტაცია, რაც მიწებს ეხებოდა. იური გოგოტიშვილი მოვალეობა განიხილოს და დაადგინოს ჩვენი კუთვნილი მიწის ფართობის ადგილმდებარეობის საკითხი, რასაც არ ასრულებს, ოზურგეთში ყოფნის პერიოდში რომ ვერ შევქმელი მეზობლების ჩართულობით იდენტურობის დადგენა, ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი წარვადგინეთ, სადაც ეს ადამიანები თავის პოზიცია ადასტურებდნენ. იური გოგოტიშვილისთვის თურმე ეს არ წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს. მიმდინარე წელს განმეორებით მიემართეთ საჯარო რეგისტრაციის ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სააგენტომ 2019 წლის ივნისის თვეში თხოვნით მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას, რომ

2018 წლის 29 აგვისტოს №371460 წერილთან მიმართებაში, განიხილონ ადგილმდებარეობის საკითხი და უმოკლეს ვადებში აცნობონ გადაწყვეტილების შესახებ. თქვენ იმიტომაც მოემართეთ, რომ მინდა ამ საქმით დაინტერესდნენ შესაბამისი ორგანოები. ხელისუფლების ინიციატივით ასეთი კარგი საქმე გაკეთდა, სახელმწიფომ უზარმაზარი თანხები გაიღო, პროგრამის ფარგლებში ხალხს უფასოდ უკანონებენ წლობით დაურეგისტრირებელ მიწებს, ამ დროს ადგილებზე მკვანი ჩინოვნიკების უცოდინარობისა თუ სხვა მიზეზით, ფერხდება ეს პროცესი და ბუნებრივად, მოსახლეობაც უკმაყოფილო რჩება. ეს არ არის ერთეული შემთხვევა, ასეთი უამრავი ფაქტი არსებობს. რაც შეეხება ჩვენს ოჯახს, ასე ვთქვათ, ბოლო იმედი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი კონსტანტინე შარაშენიძეა, რომელიც ხმების უმრავლესობითაა არჩეული ამ თანამდებობაზე. დარწმუნებული ვარ, იგი დაინტერესდება ჩვენი საქმით, ჩართავს მერიის კომპეტენტურ თანამშრომლებს, რომ დროულად იქნეს მიღებული კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება“.

ჩვენ დაუკავშირდით ღვაბზუს საკრებულოს წარმომადგენელ იური გოგოტიშვილს, რომელიც თურმე მხოლოდ რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელია. რატომ არ ედირსა წელიწადნახევრის განმავლობაში ღვაბზუს მუნიციპალიტეტს რწმუნებული, მან ასე განგვიმართა, კონკურსის წესით არჩევენ და იმიტომ დაგვიანდა. რაც შეეხება ბატონი იურის მოგვარების მიწის დარეგისტრირებასთან დაკავშირებულ პრობლემას, აქაც საკმაოდ კურიოზული პასუხები მივიღეთ. თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რა „გაქანების“ კადრებიც გვყავს ადგილებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ბატონმა იურიმ სიცრუეში „ამხილა“ ჩვენი რესპოდენტი, ათი დღე სამსახურს როგორ გავაცდენდი, სამი მეზობლის ჩართულობას ითხოვს ადგილმდებარეობის დადგენა, ორ მოწმეზეც თანახმა ვარ, მომიყვანონ „დაინტერესებულმა“ და რა პრობლემააო. სახელმწიფო მოხელეებს, სანამ განცხადებებს გააკეთებთ დაინტერესებულ პირებთან თუ ფურნალისტებთან, იქნებ ჯერ კანონმდებლობაში ჩაგებდეთ, რომელიც თქვენს უფლებამოსელებს განსაზღვრავს, რომ ქილიკის საგანი არ გავდეთ. ეს პირველ რიგში ხელისუფლების იმიჯს და ქვეყნის აზარალებს.



მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

რაზომა შიშაბით აქვანი? არ ვარ მე რა გეპარა, ერთი უბრალო მელია ვარ...

კოლიტიკური ნოველა

მოსამართლე კარგახანს ივ-და თავის უზენაეს საგარძელში და გულმოდგინედ ფურცლადა ნიკანორ მელიას საქმის ქაღალდებს. თან გულში ფიქრობდა, ეს უტვიზო წაზილარი რომ დამნაშავეა, ცხადია, მაგრამ ნეტა ეს ნიკანორი რა სახელია? ნიკაც გაუგია, ნორაც, ჟორაც, ნიკარაგუაც, მაგრამ სახელთა ასეთი შეთანხმება არასოდეს სმენია. არა, ვაჟი რომ გაგიჩნდება, “ბერდენკას” რომ გაისვრი ზეცაში, მერე სახლში შეტრიალდები და ნიკანორს დაარქმევ, გასაგლეჯი არ ხარ შუაზე? არადა, თითქოს სერიოზული კაცია ანზორ მელია, კარგი ექიმი... თუმცა არა,

ზის ბიძინა ივანიშვილის ხელის მოსამართლესთან და ელოდება, როდის შეაგდებს საქათმეში. არა, იმის გაფიქრებაც კი ზარავს, თავისუფლებას რომ წაართმევენ და ვიღაც ბინძვლიანებთან ერთად ჩააგდებენ საპყრობილეში, კარაქიანი პურით გაზრდილ აჭმევენ “ბალანდას”, ადგილს მიუჩენენ “პარაშასთან”, მერე გაიფვანენ სასეინოდ, სადაც ყველა თითს მისკენ გამოიშვერს, მელია მოუყვანიათ, ქათმები გადაძალეთო.

- ბრალდებულ მელია, ეფვანი გირჩევიან თუ ციხე? - მიმართა მოსამართლემ ჩაფიქრებულ ნიკანორს.

- ეფვანი? - დაიბნა ნიკანორი.

რაღაცის თქმა დააპირა მოსამართლემ, მაგრამ გადაიფიქრა, სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხა, ისევ ქაღალდებში ჩარგო თავი.

იცით, რაა? მოსამართლეს უზენაესი წოდება კი აქვს, მაგრამ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, მასაც მოეძალება ხოლმე რაღაცნაირი ფიქრები. ეფეჰ... ვაჟი რომ გაგიჩნდება, “ბერდენკას” რომ გადმოიღებ, ბათქს იზამ, მეზობლებს დააბნედიანებ და ამ ვაჟს ერთი ღერი ბეწვი არ ამოუვა არსად, თავი არ უნდა მოიკლა? კი უნდა მოიკლა, მაგრამ ანზორ მელიას სად აქვს მაგდენი კაცობა და გაგება?

- თქვენო უზენაესობავ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, მაქვს თუ არა უფლება, ვიცოდე, რას ნიშნავს ეფვანი? - დაკარგა მოთმინება ნიკანორმა.

- დიახ, რა თქმა უნდა, ეხლავე მოგახსენებ... მოკლედ, კარგად შევისწავლე თქვენი ნაქნავ-ნამოქმედარი, დაეფიქრდი, ჩავლრმავდი, გაუზომე, ავწონე და... არ ღირს ციხეში თქვენი შეგდება. ჯერ ერთი, იმიტომ არ ღირს, რომ კამერიდან დაიწვებთ პრანჭვა-გრეხვას, გმირი ვარო, პოლიტპატიმარი ვარო, ერნესტო ჩე გეგარა ვარო... არადა, ხომ იცით, რომ არც ერთი არ ხართ? მეორეც - იმიტომ არ ღირს, რომ...

- დიახ, თქვენო უზენაესობავ, მე არ ვარ ის კაცი... უკაცრავად, ეს ერნესტო ჩე გეგარა ვინაა?

- იფუჩეთ, ყმაწვილო, ნუ მარყვებინებთ! - გაბრაზდა მოსამართლე.

- არა, უბრალოდ, მინდოდა...

- თქვენ რა გინდოდათ, სულ ფეხებზე მკიდათ! ჰოდა, იმას ვამბობდი... თქვენ, გაშვებულ იქნებით სახლში, ოღონდ იმ პირობით, რომ მოიტანთ 30 ათას ლარს, ანზორ მელიას ფულის მეტი რა აოხრია? დღეის ამას იქით, გეკრძალებათ საჯარო განცხადებების გაკეთება, მიტინგებზე სიარული, თუ სადმე წასვლა მოგიწევთ, მიხვალთ პრობაციის სააგენტოში და აიღებთ ნებართვას!

- ტუალეტში რომ მომინდეს, იქაცა?

- ჰო, იქაცა!



- კარგი, თანახმა ვარ.

- ამიერიდან, ნაპირა ხელზე შეგებმებათ სპეციალური სამაჯური, ანუ ეფვანი, რომელიც დააფიქსირებს თქვენს ყოველ მოძრაობას, ყოველ ნაბიჯს. ვინაიდან, მელიების მოდგმისა ბრძანდებით, ვერ გენდობთ!

- არ ვარ-მეთქი ის კაცი, ბატონო მოსამართლე, - ამოიკენესა ნიკანორმა.

- იფუჩეთ-მეთქი!

- არ ვარ ის კაცი და რა ვქნა?

- თუ არ ხართ ის კაცი, რატომ ჰფარჩხავდით ხელებს რუსთაველის გამზირზე?!

- მე არა, ახალგაზრდებმა...

- რომელი იყო იქ ახალგაზრდა?!

- მაგალითად... გრიგოლ ვაშაძე, ვია ბარამიძე, ნუგზარ წიკლაური, ხათუნა გოგორიშვილი, სალომე სამადაშვილი... ყველა ჩამოვთვალე?

- ეგენი ბებიებად და ბაბუებად მეკუთვნიან, რანაირი ახალგაზრდები არიან?!

- სული აქვთ ახალგაზრდული, ბატონო მოსამართლე, სული.

- მსოფლიო იურისპრუდენცია სულის არსებობას არ ცნობს!

- სამწუხაროა... მე კიდევ არ ვარ ის კაცი და რა ვქნა?

- ვიცე, რომ კაცი არ ხართ...

- კაცები ასე არ იქცევიან. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგ-

რძელო, მაგ სამაჯურის საშუალებით გამომიგზავნიან ხოლმე დამატებით შეტყობინებებს საათში ერთხელ, რას აკეთებთ, რას ფიქრობთ და რას აპირებთ, გასაგებია?!

- დაარტყა ჩაქუჩი მოსამართლემ მაგიდაზე და წამოღდა.

- საათში ერთხელ რა ამბავია, თქვენო უზენაესობავ, ასე როგორ შეგაწუხოთ?

- აბა, ჩვენ აქ რას ვაკეთებთ, სხვა რა საქმე გვაქვს? სხვათა შორის, თელავში ვიქნები - შეტყობინებას თელავში გამომიგზავნი, ყვარელში ვიქნები - ყვარელში გამომიგზავნი, მესტიაში ვიქნები - მესტიაში გამომიგზავნი, ზუგდიდში ვიქნები - ზუგდიდში გამომიგზავნი!

- იქაცა?

- ჰოოო, იქაცა!

ნიკანორი ჯერაც ვერ გამოკვეულიყო, რა მოხდა მის თავს, ვეღარ გაეგო, ეს მოსამართლე მართლა იყო თუ არა ბიძინა ივანიშვილის ხელის ბიჭი. დარბაზში მყოფნი იდგნენ ფეხზე და ტაშს უკრავდნენ. ამკარად რაღაც დიადი მოხდა, რასაც ნიკანორის გულის სიღრმემდე ჯერაც ვერ ჩაეღწია. თუმცა გრძობდა, რომ თავისუფლება, რომელიც ღმერთმა ხვედრია, მის მხარეს დარჩა. დიახ, სეკვესტრირებული, მაგრამ მაინც თავისუფლება.

- ნიკანორ, ჩვენ გავიმარჯვეთ! - ჩასძახა ვიღაცამ ყურში და უმაღ გამოფხიზლდა.

- ჰმ... ამას მიმალავდით?!

- არა, კი არ გიმალავდით, უბრალოდ არ ვიცოდით, - ჩასძახა კიდევ ვიღაცამ, რომელიც ვეღარ იცნო.

- რას ჰქვია, არ იცოდით? სამაგიეროდ, მე ვიცოდი!

ნიკანორი იმავე ღამეს გამოიყვანეს ტელევიზორში, რომელმაც პირუთენელად, მთელი სიმკაცრით განაცხადა, რომ ეს იყო უკომპრომისო ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. ნიკანორს სახეზე და სხეულზე წამების კვალი არ აღენიშნებოდა.

გელა ზამელაშვილი
555 48 48 61



ეგეც წაუყ...ეგებს ხანდახან - ეგ არ იყო, ამას წინებზე რომ იძახდა, თუ “ნაცმოძრაობამ” ვერ გაიმარჯვა, თავს მოვიკლავო? მთელი ერი გადააგდო, დადის და დაიჯგიმება ისევ შუშა კიტრივით, გეგონება მე დავპირდი მოსახლეობას, თავს მოვიკლავ-მეთქი. ეფეჰ... მელიებისგან სხვას რას უნდა ელოდე?!

მოსამართლემ თავი ასწია, ნიკანორის გაფითრებულ სახეს შეხედა, უღვაშებში ირონია შეეპარა - ნახეთ, რა “მაგარი” იყო 20 ივნისის ღამეს, როგორ გადადიოდა მაღალზე, ეხლა კი ჩვარივითაა, ოღონდ ციხეში არ ჩაჯდეს, ყველაფერს იკადრებს. ისე, შარვლის ჩახდა რომ უბრძანოს, ნეტა ჩაიხდის? წვეთი არ გაუვა, ჩაიხდის და მეტსაც იზამს, მაგრამ როგორ უბრძანოს?

მოსამართლემ ხელი ინსტიქტურად აიქნია, ავი ფიქრები ბუხებევით გარეკა. ნიკანორი უძრავად იჯდა, მუხლები უკანკალებდა, იმედი გადასწურვოდა, თუ კიდევ ერთხელ დაუსხლტა მართლმსაჯულებას, ასეთ პროვოკაციაზე აღარ წამოეგება, ჭკუას ისწავლის. დამპალი ოპოზიციონერები, მიუშვეს სპეცრაზმელებთან და თვითონ აითესნენ. სად არიან? ტრაკში! კარგს ჭამენ და კარგს სვამენ, თავიანთ ოჯახებში ნებივრობენ, ეს კიდევ

- ჰო, ეფვანი!

- არ ვიცე, ეგ რა არი, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ციხეს უნდა სჯობდეს, თქვენო უწმინდესობავ კი არა და... თქვენო უზენაესობავ, - ამოიხვნეშა ნიკანორმა, თან ენაზე იკბინა, ივანიშვილის მონა ემანდ უარესს არ მთავაზობდესო.

- რა თქმა უნდა, ეფვანი ციხეზე უკეთესია, ეგდებით სახლში და დილა-საღამოს ფლავს მაინც მოგიდულებენ!

- კი, კი, ბაზარი არ არი, ფლავი ნამდვილად სჯობს “ბალანდას”.

- თან მშობლებთან იქნებით, ერთ ღერ თმის ბეწვსაც ვერაფერ ჩამოგივლებთ თავიდან!

- სად მაქვს თმის ღერი, ბატონო მოსამართლე, მაშაყირებთ? - სახე წამოუწითლდა ნიკანორს, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

- ა, ჰო, მაგრამ ხომ შეიძლება, ბეწვი სხვა ადგილიდან ჩამოგივლონ?!

- არა, ეგ გამორიცხულია, მე ბეწვი არც ერთ ადგილას არ მაქვს.

- დარწმუნებული ხართ?! - მხრები აიჩეჩა მოსამართლემ.

- დიახ, დარწმუნებული ვარ, ეგეც დანაშაულია?

- არა, რა თქმა უნდა, დანაშაული არ არი... თუმცა, - კიდევ



როდის აღკვეთს ხელისუფლება სახელმწიფო გადაბრიალების მხდელობას, რომელიც უკვე 20 დღეა გრძელდება?

2019 წლის ივნისის მეორე ნახევარში (20, 21, 22, 23 და ა. შ.) მაგრად ვივაჟაკეთ ქართველებმა — კიდევ ერთხელ ვუტირეთ დედა დედასაქართველოს.

როგორც ჩანს, ბოლო ოცწლეულში თუ ოცდაათწლეულში აკვირებული ფრაზა — ჩემი დედა მოვტან, გადაწვევით, პრაქტიკაში განვანხორციელოთ და საკუთარ დედას, საქართველოს, მივაღებთ გასაუბრალებლად, ეს უკვე მერამდენედ.

დიახ, პირველად არ გაუკეთებიათ ასეთი რამ ქართველებს — გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მისდევენ ამ სათაკლო და სამარცხვინო საქმეს, ამის გამკეთებლები კი გმირის და პატრიოტის წოდებას ითხოვენ.

20 ივნისსაც ასე იყო — ოკუპანტებს ვებრძობითო, ოკუპაციას ვერ შევეგუებითო, თავისუფლება გვინდაო და ლამის ჭკუიდან გადასულელებმა, მოდელირებული ომი გამოუცხადეს კრემლს, მაგრამ, რადგან კრემლამდე შორია, აქვე, რუსთაველზე, ქაშუეთის მოპირდაპირე მხარეს, პარლამენტის წინ გააჩაღეს „ომი“ ოკუპანტის წინააღმდეგ.

ამ დისტანციური „ომით“, ცხადია, ოკუპანტს არაფერი დაშავებია, სამაგიეროდ, ქართველებმა დააღწიეს ერთმანეთს თავ-ყბა, თან ეს ყველაფერი საქართველოს გაუმარჯოს აკომპანიმენტის ქვეშ გააკეთეს და როცა ეს ამბები მოითავეს, „დიდი გამარჯვება“ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს.



„ომის“ შედეგები ასეთია: ქართველი პოლიციელებისთვის ბრძოლაში წართმეული ფარები, ჩაფხუტები, ხელკეტები, გატეხილი თავები, გაბზარული ნეკნები, რამდენიმე ამოთხრილი თვალი, სისხლჩაქცევები, თანამდებობიდან გადაყენებული კობახიძე, პარლამენტიდან გადგებული ზაქარია, იმუნიტეტშიწერილები და 30 000 ლარით დაჯარიმებული მელია, ავიაკომპანიებისთვის საქართველოს მიმართულებით ფრენების აკრძალვა, ჩავარდნილი ტურისტული სეზონი, უკან გაბრუნებული მილიონობით ტურისტი, დაკარგული მილიარდები, დაცარიელებული და გაკოტრებული

სასტუმროები, კატასტროფულად გაიფუტული ლარი, პაერში გამოკიდებული საბანკო სესხები, დარტყმის ქვეშ დაყენებული ასიათასობით რუსეთში მცხოვრები ქართველი, რომლებსაც, არავინ იცის, როდის გამოყრიან იქიდან, ემბარგოსთვის განწირული ქართული პროდუქცია და, რაც მთავარია და რაც უპირველესია — ქართული სახელმწიფოს დაშლის და იავარქმნის რეალური საფრთხე, საქართველოს ტერიტორიის სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად ქცევის პერსპექტივა.

აი, ეს „გამარჯვება“ მოიპოვეს ქართველებმა 2019 წლის ივნისის თვეში, „გამარჯვება“, რომელმაც

უკვე მოუტანა უდიდესი ზიანი საქართველოს, „გამარჯვება“, რომელიც, არავინ იცის, ხვალ და ხევ რა ახალ-ახალ უბედურებად დაატყდება თავს ამ ქვეყანას.

პარლამენტის წინა აქციები გრძელდება, ანუ გრძელდება სახელმწიფო გადატრიალების პროცესი. ერთადერთი, რაც ამ პროცესის შესაჩერებლად გაკეთდა, რამდენიმე მომიტინგის დაკავება და მელიასთვის ეფენის შეშმა იყო.

თუ ეს მართლაც სახელმწიფო გადატრიალება იყო, ერთი მელია ახორციელებდა ამ გადატრიალებას?

სახელმწიფო თავზე დაგვამხეს, სახელმწიფო, ფაქტობრივად, უკვე

გადატრიალეს და რას ველოდებით, ამ უბედურების ჩამდენებს, ამ კატასტროფის ორგანიზატორებს, რატომ ველოლიავენ ამდენს?

რატომ არ იძიებენ ბრიგოლ ვაშაძეს, გიგა ბოკერიას, ნიკა გვარამიას, მლენე სოფთარას, სალომე სამადაშვილს, გუზავ სანიკიძეს, ირაკლი ოქრუაშვილს, გიორგი გაბუნიას, გიგა მაქარაშვილს, მიხა შვილიძეს, სხვებს და სხვებს, რომლებმაც ქართული სახელმწიფო უფსკრული გადაჩაჩაღეს.

რაც გააკეთეს, ეს არ კმარა და ნაშაულად, ეს არ კმარა ბრალდებად? თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო 75 000 ადამიანია დაჭერილი, საქართველოში მხოლოდ ოთხი და ისიც არა თავკაცები და ლიდერები, არამედ აქციის რიგითი მონაწილეები.

ასე ვაპირებთ ჩვენ ამ დამანგრეველი პროცესების შეჩერებას? ასე ვაპირებთ ჩვენ დროში გაგრძელებული და გაჭიმული სახელმწიფო გადატრიალების აღკვეთას?

ხელისუფლების არაადეკვატურმა, ლოიალურმა და უპრინციპო მოქმედებამ, არ არის გამოირიცხული, ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს.

გიფიქრიათ თქვენ ამაზე, პატივცემულო ხელისუფლება?

თუ გიფიქრიათ, იმოქმედეთ ისე, როგორც ეს ხელისუფლებას ვეალება!

საერთო გაზეთი

დღეს ჩვენი ქვეყანა გადასარჩენია იმ უმსგავსი ქართველებისგან, რომლებსაც ქართულის არაფერი სხვიათ



გვესაუბრება
ახალგორიდან დევნილი, პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი, გიორგი შიპტაშვილი

— ბატონო გიორგი, როგორც დევნილი და როგორც კაცი, რომელიც ქართულ პოლიტიკას მუდმივად თვალს ადევნებს, რას გვეტყვით ახალს და სასიხარულოს?

— სასიხარულოსი რა მოგახსენოთ, ჩემო კარგო, ყველა ვხედავთ, რა ქარ-ცეცხლში ვტრიალებთ უკვე რამდენი ათეული წელია და გამოსავალი ჯერ კიდევ არ ჩანს.

ახალი კი ის არის, რომ მე უკვე

კარგა ხანია გამოვედი პარტია „ჩვენი სამშობლოს“ რიგებიდან. ამის შესახებ მე ოთხჯერ განვაცხადე. 2018 წლის 9 აპრილს, როცა პარტიის წევრებთან ერთად 9 აპრილის მემორიალი შევამკე, მეორედ 2018 წლის შემოდგომაზე, მეორე წლის ბოლოს და ახლა, 2019 წლის 9 მაისს, სამამულო ომის გმირების მემორიალთან, ასევე პარტია „ჩვენი სამშობლოს“ წევრებთან ერთად.

ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ პარტიაში დაეინახე სრული უპასუხისმგებლობა და არასერიოზულობა პარტიის საქმიანობისადმი.

— დღესდღეობით პარტია „ჩვენი სამშობლო“ ფუნქციონირებს?

— დიახ, ოდონდ მხოლოდ ქალაქში. პარტიას არ გააჩნია არც გამგეობა, არც შემადგენლობა, წევრები ნელ-ნელა ტოვებენ პარტიას.

როგორც მოგახსენეთ, ფაქტობრივად, ოთხჯერ გადაკეთე პარტიიდან გასვლის შესახებ განცხადება და მინდა თქვენ გახსენოთ საშუალებითაც ყველამ გაიგოს ჩემი გადაწყვეტილების შესახებ.

— კი, მაგრამ რატომ გახდა საჭირო ამ განცხადების გაკეთება

ოთხჯერ?

— ისეთი შემართებით დავიწვე მამინ მოქმედება და დღესაც ისევე ვიბრძვი იმ იდეებისთვის, როგორც მამინ, პარტიაში ყოფნისას, ამიტომ ბევრს ეგონა და შეიძლება ახლაც ჰგონია, რომ მე კვლავ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ შემადგენლობაში ვარ, არადა, როგორც მოგახსენეთ, მე კარგა ხანია პარტია დავტოვე და ახლა, რადგან ყველას გვაწუხებს მიმდინარე მოვლენები, ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გახეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ ჩემს პრინციპულ პოზიციას პარტიის დატოვების შესახებ.

დღედაღეობით ჩვენთან, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად იკრიბებიან გულანთებული ადამიანები, ჭეშმარიტი მამულიშვილები, როგორც სამაჩაბლოდან, ასევე აფხაზეთიდან დევნილები, არადევნილი მოსახლეობაც და ვაპირებთ, ქვეყანას მხარში ამოვუდგეთ — ახალი პარტია უნდა დაგაფუძნოთ.

უნდა ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს დავედეთ სწორ გზაზე, ავირჩიოთ სწორი ორიენტირი, გავარკვიოთ, როგორი პოლიტიკური გეზი უნდა ავიღოთ და

საით უნდა წავიდეთ.

ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მორჩეს ურიოერთდაპირისპირება და შუღლი, აღარ არის დრო, რომ ქვეყანამ ეკონომიკას და სოფლის მეურნეობას მიხედოს? ჩვენი ქვეყნის დაქცევის და განაწილების ჩვენ ვერ შევეგუებით, ამიტომაც გვჭირდება ლეგიტიმაცია. ლეგიტიმურად უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს გადასარჩენად. გადასარჩენია დღეს ჩვენი ქვეყანა იმ უმსგავსი ქართველებისგან, რომლებსაც გვარ-სახელის გარდა, ქართულისა არაფერი სცხიათ და თვითონაც არ იციან, რა აცვიათ, როგორ იქცვიან, როგორ ლაპარაკობენ. ესენი ქართველები კი არა, არ ვიცი, რა ადამიანები არიან...

— როდის აპირებთ ახალი ორგანიზაციის დარეგისტრირებას?

— უახლოეს ხანებში გავიგვლით რეგისტრაციას და ყველაფერზე დეტალურად ექსკლუზიურად თქვენს გახეთის მოვალეობა ინფორმაციას.

— მაინტერესებს — რატომ გახდა საჭირო ახალი ორგანიზაციის შექმნა, საქართველოში ბევრი პარტიაა, არ გიფიქრიათ, რომელიმეს შეერთდებით? განსაკუთრებულს რას სთავაზობთ

ქართულ პოლიტიკურ სექტორს?

— ჩვენ მართლა განსაკუთრებული პარტია ვიქნებით. შევიკრიბებით ისეთი ხალხი, რომლებიც პატივს ვცემთ და ვეთაყვანებით ქართულ კულტურას, ტრადიციებს, სინდის-ნამუსს. დროულად უნდა აღიკვეთოს მეზობელ ქვეყნებთან დაპირისპირებები და აიკრიბოლოს ისეთი გამოსვლები და გამონათქვამები, რომლითაც ჩვენი ვაიმოქალაქეები ზიანს აყენებენ მშვიდობას. ასეთი ხალხი მე არც მგონია, რომ ქართველები იყვნენ.

ღირსება უნდა დავიბრუნოთ, პირველ რიგში. ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ყველამ დაეინახეთ, რომ ჩვენი მეგობარი არავინ არაა, ჩვენ უნდა მივხედოთ საკუთარ თავს.

ახლა მსურს სამი წინადადებით დავამთავრო საუბარი და აუცილებლად დაწერეთ ყველა ნამდვილი ქართველის გულის ამოძახილი:

- დიდება უფალს!
- დიდება იბერიას!
- აღსდგე საქართველო!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

წლებანდელი „დიდი ოცეულის“ შეხვედრა, რომელიც „ამა-ომავალი მზის ქვეყანაში“ იაპონიაში გაიმართა, ისტორიის საკუთრება გახდა. თუმცა განვლილი ფორუმი დღემდე განხილვის საგნად რჩება მსოფლიოს ქვეყნებში. სამწუხაროდ, არ გამართლდა პოლიტოლოგების მოლოდინი, რომ ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთის ყურეში არსებული დაძაბული ვითარება შერბილდებოდა. მოხდა პირიქით, ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ განაცხადა, რომ 7 ივლისიდან დაიწყო ურანის გასამდიდრებლად მუშაობა. 2015 წელს ბირთვული ხელშეკრულებით დაწესებული ჰქონდათ კვოტა, რომლის მიხედვით ირანელებს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოსაყენებლად ჰქონდათ უფლება, მცირე რაოდენობით გაემდიდრებინათ ურანი. მსოფლიო ატომური სააგენტო დღემდე აფიქსირებს,



ზაფხული ჩვენი გლეჯარებისა



რომ ირანელები ხელშეკრულების გაფორმების დროიდან იცავდნენ ადებულ ვალდებულებას. შარშან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ცალმხრივმა გადაწყვეტილებამ, გასულიყო ბირთვული შეთანხმებიდან, პოლიტიკური ვითარება გაამწვავა. ირანის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ ქვეყანაში ურანის გამდიდრება იმ დონეს მიაღწევს, რომ შექმნან ბირთვული იარაღი. ამასთან, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, მათ აქვთ უფლება, იქონიონ ბირთვული იარაღი. ირანელების განცხადებამ განსაკუთრებით ისრაელი შეაშფოთა. პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიიაჰუს აზრით, დაუშვებელია რეგიონში ბირთვული იარაღით მანიპულირება. დონალდ ტრამპმა თავის მხრივ ირანელები დაადასტურა: „...ირანმა დაარღვია ურანის გამდიდრებაზე ხელშეკრულება. კარგი არ არის... ისინი ცეცხლს ეთამაშებიან“.

აქვე სათქმელია, რომ G-20-ის სამიტზე საფრანგეთის, გერმანიისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების ხელისუფლების პირველმა პირებმა სთხოვეს დონალდ ტრამპს, გადაეხედა თავისი გადაწყვეტილებისთვის და არ გასულიყო ბირთვული შეიარაღების ხელშეკრულებიდან, თუმცა მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ტრამპს პოზიცია არ შეუცვლია. პოლიტოლოგები და სამხედრო ექსპერტები ახლა მარჩიელობენ,

დაიწყება თუ არა სპარსეთის ყურეში ომი. ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი გამოიხატავს ბრძოლების დაწყებას ირანის წინააღმდეგ. მას ეთანხმებიან სამხედრო ექსპერტები, რომლებიც პარალელს ერაყის ომთან ავლებენ. მათი განცხადებით, იმ დროს აშშ-ს ჰქონდა საშუალება, გამოეყენებინა ქვეითი ჯარი ავიაციასთან და ჯავშანტექნიკასთან ერთად. ამის გარდა, იმ დროს ერაყის მეზობელმა ქვეყნებმა დაუთმეს თავიანთი ტერიტორიები აშშ-ის ჯარებისთვის. ამჯერად ირანთან ეს საშუალება აშშ-ს არა აქვს. ერაყელებმა ჯერ კიდევ ორი თვის წინ სასტიკი უარი განაცხადეს, რომ ირანის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში რომელიმე ქვეყანას დაუთმოებინათ თავიანთი ტერიტორია. ასევე გამოიხატა, თურქეთი ჩაერთოს საბრძოლო მოქმედებებში აშშ-ის მხარეს, ამას ღიად ამბობენ იქაური ხელისუფლების წარმომადგენლები. სამხედრო ექსპერტების შეფასებით, ირანის არმია რეგიონში სიმძლიერით მეორეა თურქეთის შემდეგ. აქედან გამომდინარე, გაცილებით ძლიერია, ვიდრე იმდროინდელი ერაყის არმია. ირანს აქვს ძალა, გადაკეტოს ორმუხის სრუტე და პრობლემები შეუქმნას აშშ-ის სამხედრო ძალებს. ამასთან, ორმუხის სრუტის გადაკეტვა მსოფლიო ეკონომიკის რყევას გამოიწვევს. მოკლედ, ირანს შესწევს ძალა, წინააღმდეგობა გაუწიოს აშშ-ს, რაც ხანგრძლივი ომის წინაპირობაა. ამასობაში აშშ-ის ადმინისტრაციამ ყველა ქვეყანას



აუკრძალა ირანთან ბირთვული თანამშრომლობა. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა ბრიტანელების მიერ გიბრალტარის სრუტეში ირანული ტანკერის დაკავებამ, რომელსაც თითქოს არალეგალურად გადაჰქონდა ნავთობი სირიაში. როგორც ირანელები, ტვირთის დანიშნულების ადგილი სულ სხვა ქვეყანა იყო. ირანის ხელისუფლების წარმომადგენელმა ოფიციალურად მიმართა ვერობის ქვეყნებს, თუ არ შეუშუსუბუქებენ სანქციებს, ყოველ მე-60 დღეს განზრდიან ურანის გამდიდრების რაოდენობას. ექსპერტების შეფასებით, ირანი, ფაქტობრივად, კონტროლიდან გადის, რაც საზიფათოა.


იაპონიის ოსაკაში G-20 დონალდ ტრამპმა ნაყოფიერად შეაფასა, თუმცა მისი ოპონენტები

ასე არ ფიქრობენ. ტრამპმა განსაკუთრებული კრიტიკა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან და ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან კიმ ჩინ ინთან შეხვედრების გამო დაიმსახურა. ამაში გასაოცარს ვერაფერს ხედავს ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი. მისი განცხადებით: „... ტრამპი რომ არ შეხვედროდა პუტინს და კიმ ჩინ ინს, მაინც გააკრიტიკებდნენ, იმის გამო, რომ მათ არ შეხვდა. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად დემოკრატების მხრიდან ტრამპის კრიტიკა გაორმაგდება, რაც არავის ინდა გაგვივირდეს“. როგორც ჩანს, აშშ-ში მწვავე პოლიტიკური ბრძოლება მოსალოდნელია.

მიმომხილველებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე,

რომ ოსაკაში დონალდ ტრამპი მარტო, მეუღლის, მელანიას გარეშე ჩავიდა. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როდესაც პრეზიდენტი ტრამპი ვიზიტით მელანიას გარეშე წავიდა. სამაგიეროდ, მას თან ახლდა უფროსი შვილი ივანკა. მართალია, მისი ქმარი ჯადი კუშნერი ოფიციალურად ტრამპის მრჩეველია, მაგრამ თავად მუდამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. ივანკას არანაირი თანამდებობა თეთრი სახლის ადმინისტრაციაში არ უკავია. მიუხედავად ამისა, იგი ღიად, უაპელაციოდ ეროვნულ ქვეყნების ლიდერების საუბრებში. როგორც ამერიკული პრესა იუწყება, საამისოდ ივანკას შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება არ გააჩნია. ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა ფოტო, სადაც აღბეჭდილია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის და გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის გაკვირვებული სახეები, როდესაც მათ სასუბარში მოულოდნელად ივანკა ჩაეჭრათ. სამხრეთ კორეაში ოფიციალური დელეგაციების ერთობლივი ფოტოგადაღებისას ივანკა სახელმწიფო მდივნის მაიკლ პომპეოს ადგილზე დადგა. ამიტომაც გახდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ურუნალისტების დასაცინი. თავად ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ივანკა თავისი უადგილო გამოხედვებით ტრამპის ავტორიტეტს ლახავს.

გიია გურდული
551 71 27 07



გივი ქობალიას ხსოვნას

კიდევ ერთი, სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი შეუერთდა ზეციურ ლაშქარს!

დინჯი და უწყინარი, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის, ქართულ-ეროვნული ღირებულებების ერთგული დამცველი, ასეთად დაამასოვრდება ბატონი გივი ქობალია ყველას, ვისაც კი მასთან ჰქონია ურთიერთობა.

მას შემდეგ, რაც ქვეყნის მტრებმა 1992 წლის 6 იანვარს ცეცხლით და მახვილით აიძულეს საქართველოს მთავრობა და მისი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია ქვეყანა დაეტოვებინა, არაერთხელ მოითხოვა საჭიროებამ დევნილი პრეზიდენტის უსაფრთხოებისთვის იგი მისი ორეულით ჩაენაცვლებინათ.

მხოლოდ პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობიდან ორი ათეული წლის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მისი ორეულის როლს ბატონი გივი ქობალია ასრულებდა.

მეგობრები

